ლელო

№69
(11 115)

3 – 5 სექტემბერი, 1997 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

„დინამოს" „მრეტების" ვალის გადახდა, ეტაპობრივად, მომავალი წლის 20 მაისამდე დაუთქვეს

ადრე ვიტყობინებოდით, „დინამო"-„მრეტების" დავის განხილვა ფეხბურთელ გიორგი ქინქლაძის სატრანსფერო თანხის გაყოფის გამო სფფ-მ 1 სექტემბრისათვის გადადო. გულშემატკივარიც, ცხადია, ინტერესით ელოდა ამ თარიღს. მართლაც, ამ დღეს შედგა ფედერაციის საგანგებო კომიტეტის სხდომა, რომელზეც, ვფიქრობთ, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე ოპტიმალური გადაწყვეტილება გამოიტანეს: თბილისის „დინამომ" 1998 წლის 20 მაისამდე, ეტაპობრივად (სამ ვადაში) უნდა დაფაროს „მრეტების" ვალი — 850 ათასი აშშ დოლარი: იმ შემთხვევაში, თუ „დინამო" ამ თანხას დათქმულ დროში „მრეტებს" არ ჩაურიცხავს, მომდევნო საფეხბურთო სეზონში გადაყვანილი იქნება II ჯგუფში. თანაც, ეს სანქცია „დინამოს" შემდგომში არ ანთავისუფლებს ვალის დაფარვისაგან. გარდა ამისა, საგანგებო კომიტეტის გადაწყვეტილებით, „დინამოს" კლუბს უფლება მიეცა სფფ-ის აღნიშნული ვერდიქტი გაასაჩივროს უმაღლეს საფეხბურთო ინსტანციებში.

მხოლოდ ელდარი, ისიც — მესამე!

კრასნოიარსკში, მსოფლიო ჩემპიონატზე თავისუფალ ჭიდაობაში, რვა ქართველი ფალავნიდან, მხოლოდ ერთმა — ელდარ კურტანიძემ შეძლო მედლის მოპოვება, იგი მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა.

სურათზე: ელდარ კურტანიძე.

სამბო მსოფლიო ჩემპიონატი ● ჭაბუკები, ახალგაზრდები

გიორგი ჩადუნელი და მიხეილ ჩხაიძე

აკტიუბინსკი (ყაზახეთი). აქ დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი სამბოში ჭაბუკებისა და ახალგაზრდებისათვის მსოფლიოს 18 ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით. საქართველოდან გუნდში 7-7 სპორტსმენი შედიოდა და ისინი ამ ასპარეზობაზე (შეკრების გარეშე), სპონსორების ხელშეწყობით გაემგზავრნენ. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ევროპის წლევანდელმა ჩემპიონმა ჭაბუკებში თბილისელმა გიორგი ჩადუნელმა (87 კგ), რომელიც ახლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულსაც დაეუფლა. ახალგაზრდებში ვერცხლის მედალი ერგო მეორე თბილისელს მიხეილ ჩხაიძეს (მძიმე წონა). ორივე სპორტსმენი „მართვეს" წარმომადგენელია. გუნდურ პირველობაში ჩვენებს X-X ადგილი ხვდათ (გუმათე).

დაჯილდოება

დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით და ჭიდაობის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის ჭიათურის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი **შოველი ხვედელიძე** დაჯილდოვდა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საპატიო სიგელით.

წოდების მინიჭება

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მიანიჭა:

ტარიელ ჯაფარიძეს – ხონის რაიონის სპორტსკოლის დირექტორს, კალათბურთში ეროვნული კატეგორიის მსაჯს;

სილოვან ქალანდაძეს – „შევარდენის" წყალბურთის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის დირექტორს;

ალექსანდრე ჭუფარაძეს – ხონის რაიონის სპორტსკოლის უფროს მწვრთნელს კალათბურთში.

(იხ. მე-3 გვ.)

დინამო (თბილისი) – მერანი-91. მომენტი განვლილი მატჩიდან
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ინგლისელთა მზერა თბილისისკენაა მომართული მათი ბედი ჩვენს ხელშია

საფრანგეთის 1998 წლის საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. სექტემბერში გუნდები მორიგ მატჩებს გამართავენ და ბევრი რამე გაირკვევა.

10 სექტემბერს მეორე ევროპულ შესარჩევ ჯგუფში ორი შეხვედრაა: საქართველო — იტალია, ინგლისი — მოლდოვა. „ლელო" იტყობინებოდა, რომ „სკუადრა აძურას" მთავარმა მწვრთნელმა ჩეზარე მალდინიმ მომავალი მატჩისათვის ჯერჯერობით მხოლოდ იმ 7 ლეგიონერის ვინაობა დაასახელა, რომელთა მოწვევასაც იგი ქართველების წინააღმდეგ შეხვედრაში აპირებს. ესენია, ჩელსელები ჯან-ფრანკო ძოლა და რობერტო და მატეო, რეალელი კრისტიან პანუჩი, მიდლსბროელი ფაბრიციო რავანელი, ატლეტიკოელი კრისტიან ვიერი, დერბელი სტეფანო ერანიო და კრისტალელი ატილიო ლომბარდო. გუნდის მთლიან შემადგენლობას სინიორ მალდინი დღეს დაასახელებს.

იტალიელთაგან განსხვავებით, ინგლისელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გლენ ჰოდლმა მომავალი საშინაო მატჩის სრული შემადგენლობა უკვე გამოაცხადა. ***ესენია: მეკარეები*** — დევიდ სიმენი (არსენალი), იან უოკერი (ტოტენჰემი), ნაიჯელ მარტინი (ლიდს იუნაიტედი), ***მცველები*** — გარი ნევილი (მანჩესტერ იუნაიტედი), გარეთ საუთგეიტი (ასტონ ვილა), ფილიპ ნევილი და გარი პალისტერი (ორივე — მანჩესტერ იუნაიტედი), რიო ფერდინანდი (ვესტ ჰემი), სოლ კემპბელი (ტოტენჰემი), გრემ ლე სო (ჩელსი); ***ნახევარმცველები*** — დევიდ ბეტი (ნიუკასლი), ნიკი ბატი, დევიდ ბექები და პოლ სკოულზი (ყველა — მანჩესტერ იუნაიტედი), პოლ გასკოინი (გლაზგო რეინჯერსი), რობერტ ლი (ნიუკასლი), სტიუარტ რიპლი (ბლექბერნი); ***თავდამსხმელები*** — ტედი შერინგემი (მანჩესტერ იუნაიტედი), ლეს ფერდინანდი (ტოტენჰემი), იან რაიტი (არსენალი), სტენ კოლიმორი (ასტონ ვილა), ემილ ჰესკი (ლესტერი).

სიმართლე გითხრათ, მოლდოვასთან მატჩს ინგლისში ყოველგვარი აჟიოტაჟის გარეშე ხვდებიან: ის, რომ ბრიტანელები ადვილად მოიგებენ, ეჭვი არავის ეპარება და აკი ვარაუდობენ კიდეც, რომ 10 სექტემბერს „უემბლი" ცარიელი იქნება. არა, ინგლისელებს სულაც არ „გაცივებიათ გული" ეროვნულ გუნდზე. საქმე სხვა რამეშია. სახელდობრ, გულშემატკივართა უმრავლესობა შინ ტელევიზორებს მიუსხდება და გულისფანცქალით მიადევნებს თვალს საქართველო-იტალიის მატჩს. დიახ, ამ დღეს საქართველოს ეროვნულ ნაკრებს დიდ ქომაგობას გაუწევენ მთელს ბრიტანეთში. ინგლისური პრესა სავსეა ფეხბურთის სპეციალისტების პროგნოზებით. უმრავლესობა თვლის, რომ ქართველ ფეხბურთელებს ძალუძთ ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიონ იტალიელებს.

„დეილი მირორი": „პერუჯადან ქართველებმა კინაღამ ქულა წამოიღეს. საკიმ მაშინ კოშმარული საღამო გადაიტანა და მხოლოდ სასწაულმა და რავანელიმ გაამარჯვებინა აპენინელებს... კავკასიური გუნდი, იმ შემთხვევაში, თუ საშინაო ორგანიზაციული სახის პრობლემები დაძლია, აუცილებლად დაეხმარება ინგლისელებს საფრანგეთის საგზურის მოპოვებაში"

„სანი": „რომ გავიგეთ გიორგი ქინქლაძემ ტრავმა მიიღო და შეიძლება 10 სექტემბერს იტალიელთა წინააღმდეგ არ ითამაშოს, ძალიან გვეწყინა. ეს ამბავი ქართველებისთვის დიდი დანაკლისია, თუმცა არის კიდევ სხვა ფეხბურთელი, რომელსაც შეუძლია დიდი პრობლემების წინაშე დააყენოს იტალიელები. ამ მოთამაშეს თემურ ქეცბაია ჰქვია..."

რადიო BBC-ის სპორტულმა მიმომხილველმა ბარტონმა ისიც კი მოიგონა, რომ 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრებმა დიდი სამსახური გაუწია გერმანელებს, დაამარცხა რა თბილისში ბულგარელები. „თუ იგივე განმეორდა და ქართველებმა იტალიელები გაამწარეს, ჰოდლმა ყიფიანს ძეგლი უნდა დაუდგას"...

ჯემალ ჭიკაშვილი

იტალიელებთან მატჩის წინ

ახლა აკაკი დევაძეც დაემატა

იტყობინებიან, რომ საქართველო-იტალიის მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებს ისრაელის ეროვნული ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში ტრავმამიღებული მეკარე **აკაკი დევაძე**. მანამდე მკითხველს ვაუწყეთ, რომ 10 სექტემბრის შეხვედრაში სათუოა, აგრეთვე ტრავმირებული **მურთაზ შელიას** და **გიორგი ქინქლაძის** მონაწილეობაც.

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

6 სექტემბერს, 12 საათზე, გაიმართება სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის კოლეგიის სპეციალური სხდომა, რომელიც განიხილავს ქართულ ფეხბურთში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს. კოლეგიის სხდომაზე დასასწრებად ჟურნალისტთა აკრედიტაციას ჩაატარებს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია.

საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი ჯგუფი, IV ტური

ლოკომოტივი (თბილისი) – კოლხეთი-1913 (ფოთი) 1-3
მაღაროელი (ჭიათურა) – უნივერსიტეტი (თბილისი) 2-3
დინამო (თბილისი) – მერანი-91 (თბილისი) 4-0
სამგურალი (წყალტუბო) – ტორპედო (ქუთაისი) 3-4
დილა (გორი) – მარგვეთი (ზესტაფონი) 1-0
მეტალურგი (რუსთავი) – სიონი (ბოლნისი) 1-0
გურია (ლანჩხუთი) – დინამო (ბათუმი) 1-1

V ტურის პირველი მატჩი დღეს გაიმართება – მცხეთაში „უნივერსიტეტი" თბილისის რკინიგზელებს უმასპინძლებს, სხვა შეხვედრები კი ხვალისათვისაა დანიშნული. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მატჩი ქუთაისში, სადაც „ტორპედო" თბილისის „დინამოს" ეთამაშება.

აი, როგორ გამოიყურება დღეისათვის გათამაშების ცხრილი:

	თ	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
უნივერსიტეტი (თბილისი)	4	4	0	0	10-4	12
ოდიში (ზუგდიდი)	4	3	1	0	6-1	10
დინამო (თბილისი)	3	3	0	0	13-2	9
დილა (გორი)	4	3	0	1	5-5	9
ტორპედო (ქუთაისი)	4	2	2	0	9-5	8
კოლხეთი-1913 (ფოთი)	4	2	1	1	11-5	7
დინამო (ბათუმი)	4	2	1	1	7-3	7
მორკინალი (თბილისი)	4	1	2	1	5-4	5
მერანი-91 (თბილისი)	4	1	1	2	7-7	4
სამგურალი (წყალტუბო)	4	1	1	2	8-9	4
მეტალურგი (რუსთავი)	3	1	0	2	2-4	3
მაღაროელი (ჭიათურა)	4	1	0	3	5-13	3
გურია (ლანჩხუთი)	4	0	2	2	2-8	2
მარგვეთი (ზესტაფონი)	4	0	1	3	6-12	1
ლოკომოტივი (თბილისი)	4	0	1	3	3-11	1
სიონი (ბოლნისი)	4	0	1	3	6-12	-4

შენიშვნა: ბოლნისის „სიონს" ჩამოკლებული აქვს 5 ქულა.

არც ისე იოლი მეტოქე...

დინამო (თბილისი) – მპკც (ბელარუსი)

უპირველეს ყოვლისა, ავხსნათ აბრევიატურა. მპკც ნიშნავს მოზირის საწარმოო კომერციულ ცენტრს. საბჭოთა პერიოდში გუნდზე ბელორუსიის ფარგლებს გარეთ არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდათ, იცნობდნენ მხოლოდ და მხოლოდ მინსკის „დინამოს", რომელიც ზოგჯერ საკუთარი ძალებით, უფრო მეტად კი მოწვეული მოსკოველი ფეხბურთელების შემწეობით, მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდა. და აი, მპკც აღმოჩნდა პირველი, რომელმაც ახალშექმნილ სახელმწიფო ბელარუსში აღკვეთა მინსკის „დინამოს" ჰეგემონია და გავიდა საერთაშორისო ასპარეზზე. შემდეგ მის მაგალითს მიბაძეს ბობრუისკის „ბელშინამ", ვიტებსკის „ლოკომოტივმა", მინსკის „დინამო-93"-მა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო

კლუბი შეიქმნა 1987 წელს. თავიდანვე მრავალი ქომაგი გამოუჩნდა, მთავარი კი თვით ქალაქი მოზირი იყო, მისი ხელმძღვანელობა, რომლებიც ფეხბურთელებისათვის ყველაფერს აკეთებდა და ახლაც აკეთებს. მოზირში დიდი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანაა, – არაერთი სხვა მსხვილი საწარმოც, – ისინი კლუბს ფრიად ხელგაშლილად ეხმარებიან. შეიძლება უცნაურადაც კი ჟღერდეს, ბელარუსი ბოლოს და ბოლოს იტალია ხომ არ არის, მაგრამ მპკც-სათვის არ არსებობს არავითარი ფინანსური პრობლემა: კლუბს აქვს ჩინებული ბაზა, კარგად მოწყობილი, თუმცა პატარა სტადიონი – 6500-იანი „იუნოსტი", ფეხბურთელებს გვარიანი ხელფასი აქვთ, რომელსაც ყოველთვის დროზე უხდიან, მაღალია პრემიებიც. ყოველივე ამაში, რა თქმა უნდა, წარმატებით თამაშს მოითხოვენ, რასაც გუნდი აღწევს კიდეც. მოზირს მიყრუებული ქალაქი არ ეთქმის, მაგრამ განა ოდესმე მისი მოთამაშეები რესპუბლიკის რომელიმე ნაკრებში შედიოდნენ? ახლა

ლევან ბერიშვილი

(იხ. მე-5 გვ.)

დოსააფის მემკვიდრე რეგისტრაციაში გატარდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 29 აგვისტოს რეგისტრაციაში გაატარა (მოწმ. №03098) საქართველოს პატრიოტული სპორტულ-ტექნიკური საზოგადოება (სპტს) „დიდგორი" (პრეზიდენტი ლ. შარაშენიძე). საზოგადოების ამოცანაა მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის (წვევამდელთა) პატრიოტული, ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდა.

საზოგადოებას „დიდგორი" ჩვენი გაზეთის მიერ შეთავაზებული წინადადებით ეწოდა.



მომავალი საუკუნის მოთხოვნების გათვალისწინებით სასწავლო პროცესში დანერგილი სიახლეებით შეხვდა ახალ სასწავლო წელს დიდი და საამაყო ტრადიციების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია. რექტორმა, პროფესორმა ომარ გოგიაშვილმა 1 სექტემბერი გულითადად მიულოცა სასწავლებლის ახალწვეულებს და მათ აღმზრდელებს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ბაკურ გულუას ფუძეჩაყრილი ასოციაცია საქმით იწყებს

სოფლად სპორტის აღორძინების ასოციაციის (პრეზიდენტი ბ. გულუა) მომავალს და, რაც მთავარია, საქმეს, კარგი პირი უჩანს. ამ ახალშექმნილმა ორგანიზაციამ ბეჯითად გადადგა პირველი ენერგიული ნაბიჯები და ყველას გვაგრძნობინა, რომ განუხრელად უერთგულებს თავისივე წესდებას.

ამ დღეებში ასოციაციამ თბილისში ჩაატარა საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში, რომელშიაც რეგიონებში გამარჯვებული სოფლის გუნდები მონაწილეობდნენ. გასულ კვირას სპორტის სასახლეში გამართულმა ამ ასპარეზობამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ყველაზე საუკეთესო იყო და უძლიერესი გუნდის სახელიც მოიპოვა მცხეთის რაიონის სოფ. ძალისის გუნდმა, რომელმაც ფინალში ხაშურის რაიონის სოფ. ოსიაურის გუნდს სძლია 9:3.

ამ ღონისძიებამ ჩაიარა დევიზით „ჩვენ ვეძებთ ფალავნებს"! ძიებამ კი 5 საუკეთესო წარმოაჩინა. ესენია: ოსიაურელები გიორგი ნოზაძე და ალექსი მაღალთაძე, ძალისელები ვალერი თაყაიშვილი და ნიკა წამალაშვილი, გიორგიწმინდელი (საგარეჯო) გიორგი ჭიაბრიშვილი.

ალნაგობა ათლეტური, წონა ზომიერი! დაგვიკავშირდით: 72-51-51

საგადასახადო კოდექსი წიგნად

შეგიძლიათ შეიძინოთ როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით. დარეკეთ 93-27-78.

წინადადება

გავიხსენოთ და დავიბრუნოთ იმედის სტარტები

ნამდვილად ყველა გაგვახარა სოფლად სპორტის აღორძინების ასოციაციის შექმნამ, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ქვეყნის სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი ბაკურ გულუა. შეიქმნა აგრეთვე ასოციაციის რაიონული ორგანიზაციები და, რაც მთავარია, საქმე კეთდება — ეწყობა შეჯიბრებები. სოფლად სპორტის აღორძინებისათვის გადადგმულმა ნაბიჯებმა ჩვენც ჩაგვისახა იმედი. ყველაფერი ხომ ბავშვებიდან იწყება, ე.ი. სკოლებსაც მიექცევა ყურადღება და დასაყრდენი სწორედ ის გახდება. ახლა ნამდვილად შეიძლება ოდესღაც ესოდენ პოპულარული „იმედის სტარტების" აღორძინებაზე ფიქრიც. ეს მასობრივი შეჯიბრებები ხომ მჭიდრო კავშირშია სასკოლო პროგრამასთან და თვით ფიზაღზრდის გაკვეთილთან. შეჯიბრებები ჩატარდება დაუსწრებლად, შემდეგ კი ფინალური ეტაპი მოეწყობა საუკეთესოებისათვის. კარგი იქნებოდა თუ ამ საქმეში ხსენებული სამინისტრო და განათლების სამინისტრო ძალისხმევას და მიზნებს გააერთიანებენ. ასე აჯობებს საერთო საქმისთვის.

დიდი დახმარების გაწევა შეუძლია „კოკა-კოლას". მახსოვს, საბჭოთა პრესაში იწერებოდა, რომ იტალიაში „კოკა-კოლამ" ბავშვებისათვის სასკოლო სპორტული დარბაზებისა და მოედნების მშენებლობას და წესრიგში მოყვანას მოჰკიდა ხელი, ინვენტარიც შეუძინა და ორი წლის განმავლობაში ეწეოდა ამ ქველმოქმედებას. საბჭოთა პრესას იმის თქმა სურდა, რომ ჩვენში სახელმწიფო ზრუნავდა ბავშვებზე, იქ კი...

„კოკა-კოლა" ახლა ჩვენიც გახდა. იქნებ მისმა მხარდაჭერამ ჩვენც გვიხსნას გაჭირვებისგან — ბევრ სკოლის დარბაზში და მოედნებზე დღეს ხომ მეცადინეობების ჩატარება თითქმის შეუძლებელია, ინვენტარზე აღარაფერს ვამბობთ.

სკოლისკენ ყველამ უნდა ვიბრუნოთ პირი, რადგან იქ ფრთიანდება საქართველოს მომავალი, იქ წყდება საქართველოს ხვალინდელი დღის ბედი და ამიტომაც სულიერად და ფიზიკურად სრულყოფილი თაობის აღზრდა დიდი სახელმწიფოებრივი და ეროვნული ამოცანაა.

მერაბ ზაქრაძე,
საქართველოს განათლების სამინისტროს ცენტრალური რესპუბლიკური სასპორტო სკოლის განყოფილების მეთოდისტი.

თენგიზ გიორგაძე

მოგონებები

სალო ფლორი

სალო ფლორი (1908-1983). იყო საერთაშორისო დიდოსტატი და საერთაშორისო არბიტრი, მსოფლიო ჩემპიონის სახელის მაძიებელი — პრეტენდენტი (1938 წ.) და ბრწყინვალე ჟურნალისტი.

აღარ მახსოვს პირველად როდის შემოვიდა ჩემს მეხსიერებაში სალო ფლორი. ასე მგონია, ჩემი ბავშვობიდან ვიცნობ. ჭადრაკის ჟურნალ-გაზეთების კითხვა რომ დავიწყე, ხშირად ვხვდებოდი მის წერილებს, პარტიებსა და კომენტარებს. ძალიან საინტერესოდ და მიმზიდველად წერდა. პირადად, 1959 წელს შევხვდი თბილისში, საბჭოთა კავშირის ვაჟთა XXVI ჩემპიონატის დღეებში. მაშინ ჩემპიონატის პრესცენტრს ვხელმძღვანელობდი და ჩვენ ხშირი, საქმიანი ურთიერთობა გვქონდა. მერეც ვხვდებოდით ერთმანეთს და დავმეგობრდით.

ფლორი პატარა, ყოველთვის კოხტად ჩაცმული, სიმპათიური კაცი იყო. მშობლებმა მას სოლომონი დაარქვეს, მაგრამ მეგობრებმა მოფერებით სალო შეარქვეს, რაც სამუდამოდ შერჩა. ბუნებით კეთილმა სალომ გულიანი სიცილი იცოდა. ხუმრობა უყვარდა. მუდამ საქირქილოს, კვიმატს ეძებდა, მაგრამ უწყინარი იუმორი ჰქონდა. ეს მის საგაზეთო წერილებშიც იგრძნობოდა.

30-იან წლებში ფლორი დიდად პოპულარული დიდოსტატი იყო. მას გაუმარჯვია ჰასტინგსის საშობაო ტურნირებში. ერთ-ერთში თვით ა. ალიოხინს აჯობა. საინტერესოა, რომ ფლორს დაუმარცხებია ე. ლასკერი, ხ. კაპაბლანკა, მ. ეივე, მაგრამ ალიოხინისთვის არასოდეს მოუგია. 1935 წელს მ. ბოტვინიკთან პირველ-მეორე ადგილები გაიყო მოსკოვის დიდ საერთაშორისო ტურნირში. მას მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადებშიც მიუღია მონაწილეობა, როგორც ჩეხოსლოვაკიის გუნდის თავკაცს (მაშინ ამ ქვეყნის მოქალაქე გახლდათ). 1939 წელს ფლორი უნდა შეხვედროდა ალიოხინს მატჩში მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის, მაგრამ იგი არ შედგა მეორე მსოფლიო ომის დაწყების გამო. მაშინ სალო უკვე საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა.

50-იან წლებში ფლორმა ფაქტობრივად თავი დაანება ტურნირებში თამაშს. ინტენსიურად თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში. იმ დროიდან მიჰყავდა განყოფილება პოპულარულ ჟურნალ „ოგონიოკში". იგი წერდა საქმის ღრმა ცოდნით, გონებამახვილურად, მსუბუქი იუმორით. პარალელურად დიდ ტურნირებში მსაჯობდა.

ფლორი მეგობრობდა ა. ალიოხინს, მ. ეივეს, მ. ბოტვინიკს და ვ. გოგლიძეს, რაც მისგან ვიცოდი. იგი ბევრს წერდა ალიოხინზე. იხსენებდა მისი ცხოვრებიდან ზოგჯერ სიცილის, ზოგჯერ სევდის მომგვრელ შემთხვევებს.

ერთხელ ჩემთან სტუმრად იყო, ვკითხე: რატომ არაფერს წერთ-მეთქი ალიოხინის პირად ცხოვრებაზე, რაც ყველას აინტერესებს, თქვენ ხომ მისი ყველაფერი იცით?

— არ მიყვარს საუბარი სხვის პირად ცხოვრებაზე, მაგრამ რაკი გაინტერესებთ, რაიმეს გავიხსენებ, — თქვა სალომ. — მაგალითად, იცით, რამდენი ცოლი ჰყავდა ალიოხინს? ოთხი. ცხადია, არაერთდროულად. პირველი იტალიელი კომუნისტი, კომინტერნის წევრი იყო. იგი 1921 წელს შეირთო მოსკოვში. ალიოხინს ოცნებად ჰქონდა გადაქცეული თამაში საზღვარგარეთის ტურნირებში. ჰოდა, ცოლმა ევროპაში რომ გაიყვანა, მაშინვე გაცილდა მას. მეორე ცოლი შვეიცარიელი იყო. მასთან ალიოხინს შეეძინა ვაჟი — ალექსანდრე, მაგრამ დიდხანს არც მას გაუჩერდა. მეოთხე ცოლად თავისზე ასაკით უფროსი, მდიდარი ამერიკელი ქალი შეირთო. ომი რომ დაიწყო, ალიოხინი არგენტინაში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაში მონაწილეობდა, როგორც საფრანგეთის ნაკრების ლიდერი. ფაშისტებმა საფრანგეთი რომ დაიპყრეს, ალიოხინის ცოლი განსაცდელში აღმოჩნდა. ამიტომ ალიოხინი იძულებული იყო საფრანგეთში დაბრუნებულიყო. მან რის ვაი-ვაგლახით შეძლო ამერიკაში ცოლის გამგზავრება. თავად კი ფაშისტების მძევლად დარჩა. როგორც იცით, ომის მიწურულს პორტუგალიაში შეძლო გადასვლა, სადაც მოულოდნელად გარდაიცვალა. ამბობენ ვახშმობისას ყელში ხორცი გაეჩხირაო.

შესაძლოა არ იც[illegible] ალიოხინის დედა, რუსეთში სიმდიდრით ცნობილი „ტრეოხგორნაია მანუფაქტურის" პატრონის ასული, ალკოჰოლიზმით იყო ავად. იგი 1925 წელს გარდაიცვალა ბადენ-ბადენის ნარკოლოგიურ კლინიკაში. ჩანს, ალიოხინს შთამომავლობით უყვარდა სმა, მაგრამ დიდი ნებისყოფის ძალისხმევით, როცა საჭიროდ მიაჩნდა, შორს ეჭირა თავი მაცდუნებელი სასმელისაგან. საერთოდ, ალიოხინი ბედნიერი არ იყო, მას საშინელი ნოსტალგია აწუხებდა სამშობლოს დაკარგვის გამო.

სალო ფლორისა და ვიქტორ გოგლიძეს დიდი მეგობრობა ჰქონდათ.

— ჩვენ გავიცანით ერთმანეთი 1935 წელს მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში, — მიამბობდა ფლორი. — სამამულო ომის დროს, 1942 წელს ვიქტორმა თბილისში მიმიწვია საქართველოს მოჭადრაკეთა მატჩ-ტურნირში სათამაშოდ. ქვეყანა დიდ განსაცდელში იყო. ტურნირს მორალურად უნდა გაემხნევებინა ხალხი და გაეცოფებინა კავკასიონზე მომდგარი ფაშისტები. შეჯიბრება რომ დამთავრდა (იგი ფლორმა მოიგო. — თ.გ.), ვიქტორმა თავის ოჯახში შემიკედლა. სამოთახიან ბინაში ერთი ოთახი დამითმო, სადაც თითქმის ორი წელი ვიცხოვრე. მაგრამ ყოველივე ამას წინ ღიმილისმომგვრელი შემთხვევა უძღოდა.

ტურნირის დროს სასტუმრო „ინტურისტში" ვცხოვრობდი. ძალიან მინდოდა საბჭოთა მოქალაქე გავმხდარიყავი. ამას მკარნახობდა მადლიერების გრძნობა იმ ქვეყნისადმი, რომელმაც შემიფარა, ფაშისტების უღელს გადამარჩინა. დახმარება ვიქტორს ვთხოვე. საბჭოთა პასპორტი რომ მივიღე, გახარებული დავბრუნდი სასტუმროში, ცოტა ხანში პორტიემ მომაკითხა.

— ნომერი უნდა გაათავისუფლოთო, — მითხრა მან.

— რატომ? — ვკითხე გაკვირვებულმა.

— ჩვენთან ცხოვრების უფლება მხოლოდ უცხოელებს აქვთ, თქვენ კი საბჭოთა მოქალაქე ბრძანდებით!

დავიბენი. გონს რომ მოვეგე, ვიქტორს დავურეკე. მან იცინა, მერე დამამშვიდა: ჩემთან გადმოდი საცხოვრებლადო.

მხოლოდ ნამდვილ მეგობარს შეეძლო ასე მომქცეოდა!

ფლორმა საინტერესოდ იცოდა ამბის თხრობა. ლექციების კითხვით თითქმის მთელი საბჭოთა კავშირი ჰქონდა მოვლილი. ჩვენთანაც — ქუთაისში, წყალტუბოში, სოხუმში, დუშეთშიც კი იყო ნამყოფი. დუშეთში მსოფლიოს ექსჩემპიონს მაქს ეივეს ახლდა 1968 წლის 16 აგვისტოს. მათ დუშელებს ალტერნატიული ერთდროული თამაშის სეანსი გაუმართეს.

ფლორს არ უყვარდა ტელევიზიით გამოსვლა. მიზეზი ის იყო, რომ არ იცოდა გამართული რუსული ლაპარაკი. მიუხედავად ამისა, ერთხელ მისგან მაინც ავიღე ტელეინტერვიუ. ეს მოხდა 1961 წელს, როცა იგი თბილისში ჩამოყვა ბოტვინიკს. ტელევიზიაში ორივე მოვიწვიე.

ფლორი ხუმრობის ხასიათზე იყო. შუა საუბარში მას ვკითხე: რატომ არ წერთ-მეთქი მოგონებებს, თქვენ ხომ ახლოს იცნობდით ჭადრაკის კორიფეებს. მან გაოცებული კაცის სახე მიიღო.

— რომელ მოგონებებზე ბრძანებთ? წეღან არა თქვით სალო ფლორი 1942 წელს დაიბადაო? 19 წლის ყმაწვილმა რა მოგონებები უნდა დავწერო? — ხუმრობდა ფლორი.

მე დავიბენი. სახეზე ალმურმა გადამკრა. პასუხი ვერ მოვახერხე.

ბოტვინიკმა გაჭირვება შემატყო და მომეშველა.

— შენ ვერ გაიგე, სალო. თენგიზი გთხოვს დაწერო მემუარები იმის შესახებ, რაც დაბადებამდე გინახავს!

სამივეს მხიარულად გაგვეცინა.

აი, ასეთი იყო სალო ფლორი. მან უწყინარი ხუმრობა იცოდა, მაგრამ ერთხელ თვითონ „შეეწირა" თავის ოხუნჯობას.

— 1935 წლის მოსკოვის დიდ ტურნირში წარუმატებლად თამაშობდა ვერა მენჩიკი, — მიყვებოდა ფლორი. — თითქმის ყველასთან აგებდა. ამის შემყურემ ვიხუმრე მეგობრებთან: მალე მსოფლიო ჩემპიონი გავხდები-მეთქი; როგორო, გაიკვირვა ყველამ. სადაცაა ალიოხინ — ეივეს მატჩი დაიწყება.

მას ეივე მოიგებს. მერე მენჩიკი ეივეს დაამარცხებს. როგორც იცით, ვერამ უკვე ორჯერ დააყარევინა მას ფარხმალი. მერე მე მოვუგებ მენჩიკს და ჩემპიონად მოგევლინებით. ყველამ „მოიწონა" მისნობა, მაგრამ გავწბილდი. ვერაფრით ვერ მოვერიე ვერას. გაჯიქდა. მაინცდამაინც ჩემთან იქცა კერკეტ კაკლად. ბოლოს შევურიგდი ყაიმს და ბოტვინიკმა პირველი პრიზი გამიყო. ფული ფულად დავკარგე, თავიც „შევირცხვინე".

როგორც ჟურნალისტი, ფლორი ბევრს წერდა. საოცარია, რომ მას საბჭოთა კავშირში ერთი წიგნიც არ გამოუცია, საზღვარგარეთ კი ხუთი-ექვსი დაბეჭდა. მხოლოდ ფლორის გარდაცვალების შემდეგ მისმა მეუღლემ ტატიანა ესენინამ, პოეტ სერგეი ესენინის ნათესავმა, შეკრიბა ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ფლორის სტატიები, წერილები და ცალკე წიგნად გამოსცა.

ცხადია, მაინტერესებდა, როგორ მუშაობდა ჟურნალისტი ფლორი.

იგი არ წერდა ხელით. ყოველთვის თან დაჰქონდა მინიატურული საბეჭდი მანქანა და იქვე პრესცენტრში ბეჭდავდა ხოლმე. ხუმრობას რომ მოიგონებდა, მსმენელზე ამოწმებდა მას. თუ მოუწონებდნენ, წერილში გამოიყენებდა.

სალო ფლორი დიდად აფასებდა ნონა გაფრინდაშვილის მოღვაწეობასა და შემოქმედებას. სწორედ ფლორმა უწოდა „უკვდავი პარტია" ნონას მოგებულ პარტიას ოსტატ რუდოლფ სერვატისთან (დორტმუნდი, 1974 წ.).

მაგრამ ერთხელ შეეშალა ნონასთან დაკავშირებით, რასაც მერე ნანობდა.

1972 წლის ზაფხულში, რიგაში ფლორი ესწრებოდა ნონასა და ალა კუშნირის მსოფლიო პირველობის მატჩს. ორთაბრძოლის მსვლელობას იგი გაზეთ „სოვეტსკი სპორტში" აშუქებდა.

ერთხელ ნონამ განაწყენებული კილოთი იხუმრა:

— მე ვლიდერობ მატჩში, მაგრამ ფლორის ინფორმაციების მიხედვით ჯერ ერთი პარტიაც არ მომიგია!

ყველამ გავიცინეთ, მაგრამ ვერ მივხვდით რისი თქმა სურდა ნონას. მაშინ თვითონ გაგვიმარტა:

— როცა კუშნირი იგებს, ფლორი წერს: გაიმარჯვა კუშნირმა, როცა მე ვიგებ — კუშნირი დამარცხდაო!

ეს რომ სალოს გადავეცი, სახე შეეცვალა. მიხვდა რა შეცდომაც მოუვიდა.

1983 წლის ივლისში გავლით ვიყავი მოსკოვში. ჩვეულებისამებრ ტელეფონით დავურეკე ფლორს, მოვიკითხე.

— ოქტომბერში საქართველოში ჩამოსვლას ვაპირებ. ალბათ „ძველ თბილისელს" თბილისელები აღმინიშნავენ დაბადებიდან 75 წლისთავს, — მითხრა სალომ.

მაგრამ რამდენიმე დღეში მოულოდნელად შეწყდა სალო ფლორის გულისცემა.

დასაწყისი იხ. „ლელო" №59, 61

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი ჯგუფი IV ტური

რიგითი. ულიმღამო. უინტერესო მატჩი

ლოკომოტივი (თბილისი) – კოლხეთი-1913 (ფოთი) 1-3

ლოკომოტივი: ვოლკოვი, დიმიტრიშვილი, ცერცვაძე, ბარნოვი, ბაქრაძე, ჩიგოშვილი (მიზანდარი), კვეტენაძე (მაზანაშვილი), ახალაძე (ერაძე), დაუშვილი, გვაზავა, მესხიძე.

კოლხეთი-1913: მ. გვასალია, მიქაბერიძე (გიორგაძე), კაკაჩია, ქუტიძე (ჯაბუა), ქუნთელია, ღლანიძე, ფანჩულიძე, ტორჩინავა, ე. გვასალია (ბაჩილავა), წივწივაძე, ქობულაძე.

გოლები: 0-1 ღლანიძე (41), 0-2 წივწივაძე (80), 0-3 ქობულაძე (87), 1-3 გვაზავა (90).

გააფრთხილეს: ერაძე.

მსაჯი: ოთარ გუნთაძე (ლანჩხუთი)

ასეთი უინტერესო მატჩის რეცენზია, ერთობ ძნელი საქმეა. ის მცირეოდენი მაყურებელი, რომელიც იმ დღეს „ლოკომოტივზე" მოვიდა, ნამდვილად შესაბრალებელი იყო, იმდენად უემოციო, ულიმღამო შეხვედრის მოწმე გახდა. ორივე გუნდის ფეხბურთელები ისე ზანტად ირჯებოდნენ, თითქოს ძალით, მოვალეობის მოხდის მიზნით გამოიყვანეს მინდორზეო.

პირველი ჯგუფის დებიუტანტმა კოლხებს მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწია წინააღმდეგობა. მატჩის დასაწყისშივე გვაზავას შეეძლო მამუკა გვასალიას კარის აღება, მაგრამ რკინიგზელი ფეხბურთელის საბოლოო დარტყმა მეტად არაზუსტი გამოდგა. ეს იყო და ეს — თამაშმა მოედნის ცენტრში გადაინაცვლა და მეტად უაზრო ხასიათი მიიღო. სტუმრები თანდათან, ძალების დაუძაბავად, დაეუფლნენ უპირატესობას და რამდენიმეჯერ შორიდან სცადეს მასპინძელთა კარის დალაშქვრა. მაგრამ საიმედოდ თამაშობდა მეკარე ვოლკოვი, ერთხელ, ტაიმის მიწურულს ვერც მან უშველა „ლოკომოტივს": 26-27 მეტრიდან ღლანიძემ მშვენივრად შეასრულა საჯარიმო დარტყმა.

მეორე ნახევარში ფოთელებმა უკეთესი ფიზიკური მომზადების წყალობით მნიშვნელოვანი სათამაშო უპირატესობა მოიპოვეს, რამაც ანგარიშში ჰპოვა ასახვა.

ორიოდე სიტყვა პირველი ჯგუფის დებიუტანტზე. „ლოკომოტივი" აშკარად გამოუცდელი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, ვერც იმას ვიტყვით, რომ გუნდი ფიზიკურად სათანადო დონეზეა მომზადებული, ვფიქრობთ, რაღაც კარდინალური ზომებია მისაღები, რათა ძირფესვიანად შეიცვალოს საქმისადმი ფეხბურთელების მიდგომა. ვიმეორებთ, ისინი მინდორზე უფრო ვალის მოხდის მიზნით ირჯებიან.

ეჰ, «მერანო»!

დინამო (თბილისი) – მერანი-91 (თბილისი) 4-0

დინამო: ჭანტურია, ლობჟანიძე, ჯელაძე, დიდავა, ცქიტიშვილი, გუჩუა, კიკნაძე (გელაძე, 74), გოგობერიშვილი (კალაძე, 60), ჩხაიძე, ალექსიძე (ხომერიკი, 69), იაშვილი.

მერანი: ნაჭყეპია, ინიაშვილი, გოგიტაძე, ჯიშკარიანი, კაკუბავა, ქორიძე (ბუხრიკიძე, 71), კვარაცხელია (ბაბულაიძე, 71), ცქიფურიშვილი, გაბისონია (დავითაშვილი, 67), გოდერძიშვილი, სიდამონიძე.

გოლები: ჩხაიძე (30), იაშვილი (45), ცქიტიშვილი (65), იაშვილი (71).

მსაჯი: ოთარ გუნთაძე (ლანჩხუთი)

მატჩის დებიუტი მერანელების ასეთ განადგურებას არ მოასწავებდა, სტუმრები საკმაოდ მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ დინამოელებს. მათ ტაქტიკურ მონახაზშიც პირველი სამი მატჩისგან განსხვავებით ცვლილებები შეიტანეს: გოგიტაძე საყრდენ ნახევარმცველად გაამწესეს, გუნდში კვლავ დაბრუნებული სიდამონიძე — ლიბეროდ, ხოლო სამი ფორვარდის ნაცვლად თავდასხმაში მხოლოდ გოდერძიშვილი და გაბისონია დააყენეს. ამით ჯონი ჯანელიძემ, რა თქმა უნდა, თავისი გუნდის ნახევარდაცვის გაძლიერებაზე გადაიტანა აქცენტი, რადგან, თუ „დინამოს" მინდვრის ცენტრი ადვილად დაუთმე, დიდი ანგარიშით დამარცხებაც გარდუვალია. თუმცა, მერანელები ამას მაინც ვერ გადაურჩნენ, რაშიაც დიდი წვლილი ორივე გუნდის ფეხბურთელების გარდა, შავოსნებმაც დაიდეს: მათი გადაწყვეტილებების სისწორის შეფასება წესად არა გვაქვს, თუმც, მთლიანობაში, მსაჯობა დადებით ასოციაციებს ნამდვილად არ იწვევდა (ლაპარაკია დონეზე და არა კონკრეტულ ეპიზოდებზე). ამის მიზეზად ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის ტიპიური, სპეციფიკური ხასიათი გამოგვადგება: მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში და მისთანებში არის შესაძლებელი, რომ ფეხბურთელი, რომელიც n რაოდენობით ჯარიმას „იკიდებს" და მთელი მატჩის განმავლობაში უხეშობს, მხოლოდ ერთი გაფრთხილებით ისჯება. თვალშისაცემია ისიც, რომ სანამ საბოლოო გარდატეხა არ მოხდება მატჩში, მსაჯი რატომღაც მხოლოდ ერთი გუნდის სასარგებლოდ უშვებს „უნებლიე" შეცდომებს.

ამით „დინამოს" გამარჯვების ღირსეულობასა და სამართლიანობაში დაეჭვებას ნამდვილად არ ვაპირებთ. მასპინძლებმა უპირატესობა, ძირითადად, მათი თავდამსხმელების კარგი თამაშით მოიპოვეს. ჯიშკარიანსა და ცქიფურიშვილს აშკარად უჭირდათ შესაბამისად იაშვილთან და ალექსიძესთან ბრძოლა, რასაც კარგად გრძნობდნენ დინამოელთა ნახევარმცველები, რომლებიც უხვად ამარაგებდნენ ბურთებით თავიანთ ფორვარდებს. მერანელთაგან კი გოდერძიშვილი აქტიურობდა, რომელსაც შეეძლო კიდეც გოლის გატანა, მაგრამ ახლო მანძილიდან ააცილა ბურთი ჭანტურიას კარს, ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა გაბისონიასაც. დამამთავრებელ ფაზაში დინამოელებიც სცოდავდნენ, თუმცა ჩხაიძემ და იაშვილმა თავისი მაინც გაიტანეს.

მეორე ტაიმი გაცილებით უინტერესო გამოდგა. იაშვილს ჯიშკარიანის ნაცვლად ცქიფურიშვილი დაუყენეს მეურვედ, მაგრამ ვერც ამან გაჭრა — „იაშკა" კვლავ მოუხელთებელი რჩებოდა მერანელთათვის. მან ჯერ ცქიტიშვილს გაატანინა გოლი ფაქტიურად ცარიელ კარში, შემდეგ კი დუბლიც შეასრულა. ნირწამხდარმა მერანელებმა კი მეორე ტაიმში ფაქტობრივად ერთი რეალური საგოლე მომენტიც ვერ შექმნეს. დინამოელებს კი საკმაოდ ჰქონდათ ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობები, მაგრამ ხან ნაჭყეპია თამაშობდა კარგად, ხან კი თვით მასპინძლები მოქმედებდნენ მეტად უპატიებლად მერანელთა კარის სიახლოვეს.

დათო თავართქილაძე

მხოლოდ ტექნიკური შედეგები

მადაროელი (ჭიათურა) – უნივერსიტეტი (თბილისი) 2-3

მადაროელი: გველესიანი, ტეფნაძე, იობაშვილი, ასანიძე, გაბრიჭიძე (ჩიქვილაძე), აბრამიშვილი, შეყლაშვილი, ბუიშვილი, თ. სამხარაძე, კავთელაძე (ჯ. სამხარაძე), ლოლაძე, მენაბდიშვილი.

უნივერსიტეტი: ბათიაშვილი, ყოლბაია, ვერემჩუკი, კობიაშვილი, კანკავა, შალამბერიძე, ჩომახიძე (ჩოგოშვილი), კობესაშვილი (ბახტაძე), ქორიძე, მელქაძე, როსტიაშვილი.

გოლები: 0-1 მელქაძე (26, პენ.), 1-1 შეყლაშვილი (44), 1-2 მელქაძე (72), 1-3 ბახტაძე (81), 2-3 შეყლაშვილი (86).

მსაჯი: თამაზ ლაცაბიძე (სურამი).

სამგურალი (წყალტუბო) – ტორპედო (ქუთაისი) 3-4

სამგურალი: თევზაძე, ქობულაძე, სუხიაშვილი, კოღუაშვილი, მახვილაძე, ძაგნიძე, ფრანგიშვილი, დარსაძე (დ. ჯანელიძე), ხაჭაპურიძე, ხურცილავა (თევდორაძე), ჯანაშია.

ტორპედო: ასლანიძე, ხვადაგიანი, თურმანიძე, შ. ხუჯაძე, ი. ხუჯაძე, გეწაძე (მაღლაკელიძე), კვეტენაძე (ლომიძე), ქებაძე, ნოზაძე, ვ. გიგიაძე, ვაჩიბერაძე (ს. გიგიაძე).

გოლები: 0-1, 0-2 ქებაძე (24, 38, პენ.), 1-2 ჯანაშია (43, პენ.), 1-3 ქებაძე (50), 1-4 შ. ხუჯაძე (57), 2-4 ჯანაშია (77, პენ.) 3-4 თევდორაძე (65).

გააფრთხილეს: ფრანგიშვილი, ხვადაგიანი, თურმანიძე.

მსაჯი: ელგუჯა სილაგავა (თბილისი).

დილა (გორი) – მარგვეთი (ზესტაფონი) 1-0

დილა: ილურიძე, ხ. გაგნიძე, აკოფიანი, ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, წკრიალაშვილი (ტაბატაძე), ჩიტაია (მინდიაშვილი), მარეხაშვილი, მარღიშვილი, ციცქიშვილი, შატიკაშვილი (ჩალაძე).

მარგვეთი: ნიქაბერიძე, ბიწაძე, მორალიშვილი (კაკაბაძე), მოსიკაშვილი, ფოფხაძე (მალაღურაძე), კაციაშვილი, სულაკაძე, მელუა, ზაქარეიშვილი, ტოკლიკაშვილი (ფოცხვერაშვილი), ხეტეშვილი.

გოლი: მინდიაშვილი (64).

მსაჯი: შოთა ხანიაშვილი (თბილისი).

რევაზ ნაჭყეპია: მახარაძე არაფრად მაგდებდა, ჯანელიძე კი მენდო და მას არ გავაწბილებ

რევაზ ნაჭყეპია თამაშის დროს

რევაზ ნაჭყეპია
ამპლუა – მეკარე
დაიბადა 1972 წლის 14 აპრილს.
დებიუტი – პირველად ითამაშა „შევარდენი" -1906"-ის შემადგენლობაში 1991 წლის 7 მაისს რუსთავში „გორდასთან"

ეს ნიჭიერი მეკარე კარგა ხანია საქმეში არ გვინახავს და აი, იგი თბილისის „მერანი-91"-ის ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდა. ჩვენში ახლა კარგი მეკარეების დეფიციტია და ბუნებრივია, გარკვეული ინტერესით შევხვდით ამ ფაქტს.

● ***რევაზ, როდის და სად დაიწყო თქვენი საფეხბურთო კარიერა?***

— 1982-ში მივედი „ნორჩ დინამოელში" და ვარჯიში რევაზ გაგუასთან დავიწყე (სხვათა შორის, გაგუას აღზრდილია საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე აკაკი დევაძეც —მ.მ.). შემდეგ გადავედი ბავშვთა გუნდში, რომელსაც სერგო აპრესიანი და ალექსანდრე ვაშაკიძე ავარჯიშებდნენ.

● ***მოზრდილთა გუნდში როგორღა მოხვდით?***

— ვსწავლობდი ტექნიკურ უნივერსიტეტში და, ბუნებრივია, ამ სასწავლო დაწესებულების გუნდის ღირსებას ვიცავდი. სწორედ აქ გამოვდიოდი საქართველოს პირველ და მეორე ჩემპიონატებში. ჩვენ მაშინ კარგი გუნდი გვყავდა, მწვრთნელებმა ომარ ურთქმელიძემ და რევაზ გაგუამ საკმაოდ ბრძოლისუნარიანი და მეგობრული კოლექტივი ჩამოაყალიბეს. სამწუხაროდ, ფინანსური პრობლემების გამო ის გუნდი დაიშალა. ჩემი თამაში შეუმჩნეველი არ დარჩენიათ — მალე „შევარდენი- 1906"-ში მიმიწვია ელგუჯა ხუციშვილმა იქ სამი სეზონი დავყავი. მიზეზთა გამო, ეს გუნდიც დავტოვე და გურამ გვანცელაძის რეკომენდაციით „მერანი" 91"-ში გადავედი.

● ***კი, მაგრამ ძირითადში ხომ დიდხანს ვერ ხვდებოდით...***

— „მერანში" ძლიერი მეკარე იყო იმხანად — გუბაზ დოლიძე, დავუმატოთ იმას ისიც, რომ მწვრთნელი თემურ მახარაძე არაფარად მაგდებდა და არ მენდობოდა.

● ***ახალ სეზონში, ლანჩხუთის „გურიის" წინააღმდეგ გიხილეთ.***

— რწმენა დაკარგული მქონდა, მეგონა ძირითად შემადგენლობაში თამაში აღარ მეღირსებოდა. გუბაზ დოლიძე გუნდიდან კი წავიდა, მაგრამ მის ნაცვლად მოვიდა გამოცდილი ვეფხია გვენცაძე და ვიფიქრე მას დააყენებდნენ. როცა გავიგე, კარში მე უნდა ჩავმდგარიყავი, ძლიერ ავღელდი, მაგრამ ნერვიულობას ვძლიე. დაიწყო თუ არა მატჩი, ვიგრძენი თამაში წამივიდოდა და ასეც მოხდა. რაც მთავარია, საკუთარი ძალების რწმენა დამიბრუნდა და ახლა ვგრძნობ, კარგ სპორტულ ფორმაში ვარ. ამისათვის ჯონი ჯანელიძის დიდი მადლობელი ვარ, ყველაფერს ვიღონებ, რომ იგი არ გავაწბილო.

● ***ვინ იყო თქვენთვის ყველაზე უხერხული თავდამსხმელი?***

— შოთა არველაძე, მერაბ მეგრელაძე, გივი ქობელაშვილი.

● ***საყვარელი მეკარე?***

— გერმანიის ნაკრების კარის დარაჯი ანდრიას კეპკე.

ესაუბრა
მზია მებაღიშვილი

მეორე ჯგუფი ● V ტური

მეშახტე – სამეგრელო 3-0, ცხინვალი – ივერია 1-5, მერცხალი – ჯუბა 2-2, ასკ – კოდაკო 6-0, სქური – იმერეთი 4-2, შსს აკადემია – იბერია 4-1, კოლხეთი – ფაზისი 5-2, საპოვნელა – თორი 0-3.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
შსს აკადემია (თბ)	5	5	0	0	21–18	15
ასკ (თბილისი)	5	4	1	0	18–2	13
მერცხალი (ოზურგ)	5	4	1	0	16–6	13
ჯუბა (სამტრედია)	5	4	1	0	11–5	13
ივერია (ხაშური)	5	4	0	1	14–5	12
ცხინვალი	5	3	0	2	12–8	9
სქური (წალენჯიხა)	5	3	0	2	9–7	9
თორი (ბორჯომი)	5	2	1	2	11–7	7
კოლხეთი (ხობი)	4	2	1	1	7–9	7
სამეგრელო (ჩხოროწ)	5	1	1	3	5–10	4
მეშახტე (ტყიბული)	4	1	0	3	6–3	3
იბერია (ქარელი)	5	1	0	4	5–15	3
კოდაკო (თბილისი)	5	1	0	4	2–13	3
ფაზისი (ფოთი)	5	0	0	5	7–17	0
საპოვნელა (თერჯ)	4	0	0	4	1–12	0
იმერეთი (ხონი)	4	0	0	4	3–16	0

როგორც ხედავთ, ჯერჯერობით უდანაკარგოდ იბრძვის „შსს აკადემიის" გუნდი, რომელსაც სათავეში უდგას ყოფილი დინამოელი ბესარიონ მჭედლიშვილი. საგრძნობლად გამოასწორეს სატურნირო მდგომარეობა არმიელებმა — ოთარ კორღალიძემ მეტად საინტერესო, ბრძოლისუნარიანი კოლექტივი შექმნა.

ტურის ცენტრალური მატჩი გაიმართა ოზურგეთში, სადაც ადგილობრივმა „მერცხალმა" პირველი ჯგუფიდან გამოვარდნილ სამტრედიის გუნდს უმასპინძლა. უშელავათო ბრძოლა ფრედ დამთავრდა. ამან საშუალება მისცა გასული სეზონის პირველი ჯგუფის კიდევ ერთ უიღბლო კოლექტივს ხაშურის „ივერიას" დასწეოდა ლიდერებს. ხაშურელთა გუნდს ამჟამად ადგილობრივი ვეტერანი ფეხბურთელი თენგიზ ოსაძე წვრთნის და, როგორც ეტყობა, „ივერიას" მტკიცედ განუზრახავს დაბრუნდეს უძლიერესთა რიგებში.

მეორე ჯგუფის VI ტურის მატჩები დღეს გაიმართება. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „ჯუბა" — „ასკ" და „ივერია" — „მერცხალის" შეხვედრები.

ირაკლი შენგელია

ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

შეგახსენებთ, რომ სექტემბერში ეროვნული ჩემპიონატის მატჩები ყველა ჯგუფში დაიწყება 17 საათზე.

საქართველოს თასი
შესარჩევი შეხვედრები

განმუხური – ოდიში-2 1-1 (პენ. 5-4)
სამგურალი-2 – დინამო (გაგრა) 2-3
შუქურა – ეგრისი 0-4
ტორპედო-2 – ოქროს საწმისი 0-1
დურუჯი – ჭაბუკიანი 2-1
შირაქი – ალაზანი 2-0
ალგეთი – მარტყოფი 7-0
იბერია – 35-სტუ 6-0
დინამო – ბიჭვინთა 1-2
ვარძია – მესხეთი 2-5
დილა-2 – ჟინერი 2-3
ლოკომოტივი-2 – თსუ-არმაზი 1-0

ევროპის 1997-98 წლების საკლუბო ტურნირები

ჩემპიონთა ლიგა

A ჯგუფი
ბორუსია (დორტმ., გერმანია)
სპარტა (ჩეხეთი)
პარმა (იტალია)
გალათასარაი (თურქეთი)

B ჯგუფი
ფეიენოორდი (ჰოლანდია)
კოშიცე (სლოვაკეთი)
მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)
იუვენტუსი (იტალია)

C ჯგუფი
ბარსელონა (ესპანეთი)
ეინდჰოვენი (ჰოლანდია)
დინამო (კიევი, უკრაინა)
ნიუკასლი (ინგლისი)

D ჯგუფი
პორტო (პორტუგალია)
რეალი (ესპანეთი)
რუსენბორგი (ნორვეგია)
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)

E ჯგუფი
გიოტებორგი (შვედეთი)
ბაიერნი (გერმანია)
ბეშიქტაში (თურქეთი)
პარი სენ-ჟერმენი (საფრანგეთი)

F ჯგუფი
ლიერსი (ბელგია)
სპორტინგი (პორტუგალია)
მონაკო (საფრანგეთი)
ბაიერი (გერმანია)

ჯგუფური ტურნირის კალენდარი

I ტური, 17 სექტემბერი
სპარტა – პარმა
გალათასარაი – ბორუსია
კოშიცე – მანჩ. იუნაიტედი
იუვენტუსი – ფეიენოორდი
ეინდჰოვენი – დინამო (კ)
ნიუკასლი – ბარსელონა
რეალი – რუსენბორგი
ოლიმპიაკოსი – პორტო
ბაიერნი – ბეშიქტაში
პსჟ – გიოტებორგი
სპორტინგი – მონაკო
ბაიერი – ლიერსი

II ტური, 1 ოქტომბერი
ბორუსია – სპარტა
პარმა – გალათასარაი
ფეიენოორდი – კოშიცე
მანჩ. იუნაიტედი – იუვენტუსი
ბარსელონა – ეინდჰოვენი
დინამო (კ) – ნიუკასლი
პორტო – რეალი
რუსენბორგი – ოლიმპიაკოსი
გიოტებორგი – ბაიერნი
ბეშიქტაში – პსჟ
ლიერსი – სპორტინგი
მონაკო – ბაიერი

III ტური, 22 ოქტომბერი
პარმა – ბორუსია
სპარტა – გალათასარაი
მანჩ. იუნაიტედი – ფეიენოორდი
კოშიცე – იუვენტუსი
დინამო (კ) – ბარსელონა
ეინდჰოვენი – ნიუკასლი
რუსენბორგი – პორტო
რეალი – ოლიმპიაკოსი
ბეშიქტაში – გიოტებორგი
ბაიერნი – პსჟ
მონაკო – ლიერსი
სპორტინგი – ბაიერი

IV ტური, 5 ნოემბერი
ბორუსია – პარმა
გალათასარაი – სპარტა
ფეიენოორდი – მანჩ. იუნაიტედი
იუვენტუსი – კოშიცე
ბარსელონა – დინამო (კ)
ნიუკასლი – ეინდჰოვენი
პორტო – რუსენბორგი
ოლიმპიაკოსი – რეალი
გიოტებორგი – ბეშიქტაში
პსჟ – ბაიერნი
ლიერსი – მონაკო
ბაიერი – სპორტინგი

V ტური, 26 ნოემბერი
პარმა – სპარტა
ბორუსია – გალათასარაი
მანჩ. იუნაიტედი – კოშიცე
ფეიენოორდი – იუვენტუსი
დინამო (კ) – ეინდჰოვენი
ბარსელონა – ნიუკასლი
რუსენბორგი – რეალი
პორტო – ოლიმპიაკოსი
ბეშიქტაში – ბაიერნი
გიოტებორგი – პსჟ
მონაკო – სპორტინგი
ლიერსი – ბაიერი

VI ტური, 10 დეკემბერი
სპარტა – ბორუსია
გალათასარაი – პარმა
კოშიცე – ფეიენოორდი
იუვენტუსი – მანჩ. იუნაიტედი
ეინდჰოვენი – ბარსელონა
ნიუკასლი – დინამო (კ)
რეალი – პორტო
ოლიმპიაკოსი – რუსენბორგი
ბაიერნი – გიოტებორგი
პსჟ – ბეშიქტაში
სპორტინგი – ლიერსი
ბაიერი – მონაკო.

მეოთხედფინალის (1998 წლის 4, 18 მარტი) საგზურს მოიპოვებენ ჯგუფებში პირველ ადგილზე გასული გუნდები, აგრეთვე ორი საუკეთესო შედეგის მქონე მეორე ადგილის მფლობელები.

როგორც ვიტყობინებოდით, ჯგუფურ ტურნირში გასულმა თითოეულმა გუნდმა უკვე მოიპოვა ორ-ორი მილიონი შვეიცარიული ფრანკი (თითქმის მილიონნახევარი აშშ დოლარი). გარდა ამისა, გამოცხადდა, რომ ყოველი გამარჯვებისათვის გუნდები მილიონს, ხოლო ყაიმით დამთავრებული თამაშისათვის 500 ათას შვეიცარიულ ფრანკს მიიღებენ.

უეფას თასი

მოზირი (ბელარუსი) — დინამო (თბ., საქართველო)
დეპორტივო (ესპანეთი) — ოსერი (საფრანგეთი)
ზალცბურგი (ავსტრია) — ანდერლეხტი (ბელგია)
პაოკი (საბერძნეთი) — არსენალი (ინგლისი)
ვიძევი (პოლონეთი) — უდინეზე (იტალია)
აიაქსი (ჰოლანდია) — მარიბორი (სლოვენია)
ლიონი (საფრანგეთი) — ბრონდბიუ (დანია)
ვალიადოლიდი (ესპანეთი) — სკონტო (ლატვია)
ვიტორია (პორტუგალია) — ლაციო (იტალია)
სტრასბური (საფრანგეთი) — გლაზგო-რეინჯერსი (შოტლანდია)
მტკ (უნგრეთი) — ალანია (რუსეთი)
შალკე-04 (გერმანია) — ჰაიდუკი (ხორვატია)
ბასტია (საფრანგეთი) — ბენფიკა (პორტუგალია)
სიონი (შვეიცარია) — სპარტაკი (მოსკ., რუსეთი).
ოფი (საბერძნეთი) — ფერენცვაროში (უნგრეთი)
სამპდორია (იტალია) — ატლეტიკი (ესპანეთი)
ბორდო (საფრანგეთი) — ასტონ ვილა (ინგლისი)
სტიაუა (რუმინეთი) — ფენერბახჩე (თურქეთი)
როტორი (რუსეთი) — ორებრო (შვედეთი)
ჯაზი (ფინეთი) — მიუნხენ-1860 (გერმანია)
ტრაბზონსპორი (თურქეთი) — ბოხუმი (გერმანია)
კროაცია (ხორვატია) — გრასჰოპერსი (შვეიცარია)
ვიტესი (ჰოლანდია) — ბრაგა (პორტუგალია),
რაპიდი (ავსტრია) — ჰაპოელი (ისრაელი)
ინტერი (იტალია) — ქსამაქსი (შვეიცარია)
სელტიკი (შოტლანდია) — ლივერპული (ინგლისი)
მუსკრონი (ბელგია) — მეცი (საფრანგეთი)
ტვენტე (ჰოლანდია) — ლილესტრიომი (ნორვეგია)
ბეითარი (ისრაელი) — ბრიუგე (ბელგია)
ატლეტიკო (ესპანეთი) — ლესტერი (ინგლისი)
ორჰუსი (დანია) — ნანტი (საფრანგეთი)
კარლსრუე (გერმანია) — ანორთოსისი (კვიპროსი)

მატჩები გაიმართება 16 და 30 სექტემბერს

თასების მფლობელთა თასი

კოჩაელისპორი (თურქეთი) — ნაციონალი (რუმინეთი)
აპოელი (კვიპროსი) — შტურმი (ავსტრია)
ვისტმანაეიარი (ისლანდია) — შტუტგარტი (გერმანია)
ბოავიშტა (პორტუგალია) — შახტიორი (უკრაინა)
ეკერენი (ბელგია) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)
აიკი (შვედეთი) — პრიმორიე (სლოვენია)
აეკი (საბერძნეთი) — დინაბურგი (ლატვია)
სლავია (ჩეხეთი) — ლუცერნი (შვეიცარია)
ჰაპოელი (ისრაელი) — როდა (ჰოლანდია)
ზაგრები (ხორვატია) — ტრომსო (ნორვეგია)
კოპენჰაგენი (დანია) — არარატი (სომხეთი)
ბილშინა (ბელარუსი) — ლოკომოტივი (მოს., რუსეთი)
ჩელსი (ინგლისი) — სლოვანი (სლოვაკეთი)
ნიცა (საფრანგეთი — კილმარნოკი (შოტლანდია)
რეალ ბეტისი (ესპანეთი) — ბუდაპეშტი (უნგრეთი)
ვიჩენცა (იტალია) — ლეგია (პოლონეთი)

მატჩები გაიმართება 18 სექტემბერსა და 2 ოქტომბერს.

ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების ამბები

ესპანეთი
I ტური

ამ ქვეყნის ჩემპიონატი მადრიდული დერბით — „რეალისა" და „ატლეტიკოს" მატჩით დაიწყო. დასაწყისში ბრაზილიელმა ჟუნინიომ გამოიჩინა თავი და წინ გაიყვანა „ატლეტიკო". მეორე ტაიმში „რეალი" ბევრს უტევდა და შეხვედრის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე ზეედორფმა შორეული დარტყმით ანგარიში გააქვითა.

სხვა მატჩები: ბარსელონა — სოსიედადი 3-0, მალიორკა — ვალენსია 2-1, ატლეტიკი — ესპანიოლი 1-3, სელტა — სარაგოსა 2-1, რასინგი — სალამანკა 1-0, ტენერიფე — დეპორტივო 0-0, ოვიედო — მერიდა 2-0, კომპოსტელა — სპორტინგი 2-0.

იტალია
I ტური

ბარი — პარმა 0-2, ატალანტა — ბოლონია 4-2, იუვენტუსი — ლეჩე 2-0, ინტერი — ბრეშია 2-1, უდინეზე — ფიორენტინა 2-3, ლაციო — ნაპოლი 2-0, პიაჩენცა — მილანი 1-1, ემპოლი — რომა 1-3.

გერმანია
V ტური

კარლსრუე — დუისბურგი 1-2, ბოხუმი — კაიზერსლაუტერნი 1-3, ჰანზა — ბაიერნი 1-3, შტუტგარტი — ბორუსია (დ.) 0-0, შალკე-04 — ბორუსია (მ.) 2-0, ვერდერი — ბაიერი 2-1, კიოლნი — ვოლფსბურგი 5-3, ჰერტა — ჰამბურგი 0-2

ლიდერთა მდგომარეობა:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
კაიზერსლაუტერნი	5	4	1	0	8-1	13
ბაიერნი	5	3	1	1	11-5	10
შალკე-04	5	3	0	2	5-5	9

რუსეთი
XXV ტური

ალანია — ლოკომოტივი (ნ.ნ.) 3-1, სპარტაკი — ზენიტი 2-0, დინამო — ფაკელი 4-1, ტორპედო — კრ. სოვეტოვი 0-1, შინიკი — ბალტიკა 4-0, როტორი — ლოკომოტივი (მ.) 1-0, ჟემჩუჟინა — როსტსელმაში 2-1, ჩერნომორეცი — ცსკა 0-1, კამაზი — ტიუმენი 2-1

ლიდერობენ:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
დინამო	25	15	7	3	35-14	52
როტორი	25	16	5	5	45-23	50
სპარტაკი	24	14	6	4	40-16	48

P.S. როგორც როიტერის სააგენტო იუწყება „სპარტაკი" - „ზენიტის" მატჩის წინ ამ გუნდების ფანებს შორის ერთი შეხლა-შემოხლა ატყდა, რის შედეგადაც 30 კაცი დაშავდა, 13 კი ჰოსპიტალში მოხვდა. როგორც მოსკოვის პოლიციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აღნიშნა, ეს იყო ჯერჯერობით ყველაზე სასტიკი შეტაკება ფეხბურთის ფანებს შორის (რუსეთის მასშტაბით) ამ საფეხბურთო სეზონში. მოსკოვის პოლიციამაც საკმაოდ ბევრი ხულიგანი-გულშემატკივარი დააპატიმრა. ფანები ჩხუბის დროს იყენებდნენ ბოთლებს, სხვადასხვა ბასრ საგანს და საბჭოთა არმიის აქსესუარულ ქამრებსაც კი.

სააგენტო როიტერი იმასაც აღნიშნავს, რომ ძალადობა ფეხბურთში ახალი ფენომენია რუსეთისთვის, რადგან საბჭოური ცხოვრების დროს ფანებს ურთიერთიზოლაციის პრობლემა სრულებითაც არ იდგა დღის წესრიგში. საბჭოურ ავტორიტარულ დრაკონული რეჟიმი სულ იმას ირწმუნებოდა, რომ ასეთი პრობლემები მხოლოდ დასავლეთს ჰქონდა 70-იან და 80-იან წლებში და რომ ამგვარი სისასტიკე ფრთებს ვერ გაშლიდა აღმოსავლეთით.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები • უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ბრაზილიის ნაკრებზე ფიქრით

მისი სრული სახელი და გვარია ჯოვანე ელბერ დი სოუზა, ფართოდ იცნობენ გერმანიასა და, საერთოდ, ევროპაში, სამშობლოში — ბრაზილიაში კი ნაკლებად.

ბრაზილიაში, როგორც ცნობილია, იმდენი ნიჭიერი მოთამაშეა, რომ ცოტა ვინმე თუ იკაფავს გზას „მაღალი ეშელონებისაკენ", 19 წლის ელბერი ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრებში თამაშობდა, ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატზეც, მაგრამ ნაკლებად ცნობილ კლუბ „ლონდრინას" ვერ გასცდა. ასე იყო, სანამ ცნობილმა შვეიცარიულმა კლუბმა, „გრასჰოპერსმა" (ციურიხი) არ მიაქცია ყურადღება. აქ იგი ხელათ გახდა წამყვანი თავდამსხმელი, 1993-94 წლების ჩემპიონატში კი ქვეყნის №1 სნაიპერი (21 გოლი), 1993 წელს ერთხანს იტალიის „ლეჩეში" გამოდიოდა, შემდეგ კი ისევ შვეიცარიაში დაბრუნდა.

1994 წლიდან ელბერი უკვე ბუნდესლიგის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბ „შტუტგარტში" გადავიდა, სადაც 87 მატჩი ჩაატარა და 41 გოლი გაიტანა. წელს, მას შემდეგ, რაც კლინსმანმა „ბაიერნი" დატოვა, იგი ელბერმა შეცვალა და ღირსეულადაც.

ელბერის დიდი ოცნებაა ბრაზილიის ნაკრებში მოხვედრა და საფრანგეთში, მსოფლიო ჩემპიონატზე თამაში. ამ ნაკრებში იგი ერთხელაც კი არ გამოსულა, და როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ბუნდესლიგაში ბრწყინვალე თამაშის მიუხედავად ჯერჯერობით ვერ მიიპყრო მკაცრ მარიო ზაგალოს ყურადღება.

მას «ახალ პაპენს» უწოდებენ

საფრანგეთის ნაკრები, ემე ჟაკეს ხელმძღვანელობით, ჩინებულად გამოვიდა ევროპის ბოლო პირველობაზე. ჩემპიონობისათვის ბრძოლაც კი შეეძლო, მაგრამ აკლდა ერთი რამ — შედეგიანი ცენტრალური თავდამსხმელი. ცხადია, ეს ცოტა არ არის. აი, ჟან-პიერ პაპენი რომ ცოტა ახალგაზრდა ყოფილიყო...

ახლა თითქოს საქმე იქით მიდის, რომ ემე ჟაკემ ასეთ ცენტრფორვარდსაც მიაგნო. ეს გახლავთ 23 წლის ფლორიან მორისი. ეს ფეხბურთელი ახლა „პარი სენ-ჟერმენში" თამაშობს და ნაკრებშიც დაიწყო გამოსვლა. ფრანგი მიმომხილველები მას „ახალ პაპენს" უწოდებენ.

ახლა კი მოვუსმინოთ თვით ჟან-პიერ პაპენს:

— როცა მორისი თამაშობს, მასში ჩემს თავს ვხედავ. ყველაფრით მგავს: თამაშით, ფეხბურთისადმი დამოკიდებულებით. ფლორიანი მოთამაშედ არის დაბადებული, ძალიან ტექნიკური, განსაკუთრებული ინტუიციის მქონე. ერთი სიტყვით, სიამოვნებით გამოვიდოდი მის მხარდამხარ.

— მას ყოველგვარ წარმატებებს ვუსურვებ — განაგრძო 33 წლის პაპენმა, — წარმატება კი ძალიან უნდა, ახლა, როცა მსოფლიო ჩემპიონატი მოახლოვდა.

წარმოიდგინეთ, რომ თვით პაპენიც, რომელიც წარმატებით გამოდის „ბორდოში", უარს არ იტყოდა მსოფლიო ჩემპიონატში თამაშზე, მაგრამ, ცხადია, მისი კონდიცია ის აღარაა. ერთია „ბორდო" და, სულ სხვა, მსოფლიო ჩემპიონატი...

30 წელი ბევრი არ არის!

სწორედ ასე შეიძლება იფიქროს კაცმა, როცა აარონ მუჰამედ ვინტერის თამაშს ადევნებს თვალს.

ვინტერი, გულიტისა და რაიკაარდის მსგავსად, წარმოშობით სურინამელია. 18 წლისას დებიუტი ჰქონდა „აიაქსში" და მყისვე ჰოლანდიის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად აღიარეს. 1987 წელს ჰოლანდიის ნაკრების წევრი გახდა, 1988 წელს კი — ევროპის ჩემპიონი. „აიაქსის" შემადგენლობაში 1987 წელს თასების მფლობელთა თასი მოიგო, 1992 წელს კი — უეფას თასი. შემდეგ იტალიაში გადავიდა, სადაც ჯერ რომის „ლაციოში" თამაშობდა, 1996 წლიდან კი — „ინტერში". ბევრი კარგიც უნახავს და ცუდიც. მაისში „შალკე 04"-თან პენალტი რომ გაეტანა, მილანელები უეფას თასს გერმანელებს არ გაატანდნენ.

30 წელი ბევრი არ არის! ახლა ვინტერს რამდენიმე ამოცანა აქვს დასახული: 1) სკუდეტო, 2) ბრძოლა იტალიის თასისათვის, 3) წარმატებით გამოსვლა უეფას თასზე და რაც მთავარია 4) წარმატებით თამაში მსოფლიო პირველობაზე, სადაც ჰოლანდიის ნაკრების ხელმძღვანელობას მისი იმედი აქვს.

ბოდიშის მოხდა - მოუხდა

• პეტერბურგელმა ტელეკომენტატორმა გენადი ორლოვმა მატჩის რეპორტაჟისას მოიყვანა რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ბორის იგნატიევის სიტყვები: „ჩვენი ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდება", რამაც დიდი გაოცება გამოიწვია. სინამდვილეში კი გამოირკვა, რომ იგნატიევს უთქვამს: „ჩვენი ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი ვერ გახდება", რაც, რა თქმა უნდა, უფრო გასაგებია.

ისე რომ, ტელეკომენტატორს ბოდიშის მოხდა მოუხდა...

მათ თამაშს მალე ვიხილავთ

ფაბრიციო რავანელი – „გააფთრებული მოზვერი“

ასეთი ტიპის თავდამსხმელებ მწვრთნელები ყოველთვის დიდად აფასებდნენ — შეუპოვრებს, უშიშრებს, მთელი 90 წუთის განმავლობაში კარის დასალაშქრავად შემართულებს...

კაცი რომ რავანელის შეხედავს, მთლად გაჭაღარავებულს, შეიძლება იფიქროს, რომ ვეტერანთან აქვს საქმე. სინამდვილეში კი იგი კრიტიკულ ასაკთან ჯერ შორს არის — 1968 წლის 11 დეკემბერს დაიბადა, ისე კი, დიდ ფეხბურთში საკმაოდ გვიან დაწინაურდა, თუ უკანასკნელ წლებს არ ჩავთვლით, ნაკრებში იშვიათად უხდებოდა გამოსვლა.

რავანელის ცხოვრებაში უბედნიერეს დღეზე თუ ვილაპარაკებთ, ეს იყო 1996 წლის 22 მაისი. ამ დღეს „იუვენტუსი“, რომელიც დიდი წარმატებით თამაშობდა ჩემპიონთა ლიგის 1995-96 წლების გათამაშებაში, რომის ოლიმპიურ სტადიონზე შეხვდა ამსტერდამის „აიაქსს“. ეს იყო ფინალური მატჩი, ამასთან, თუ „იუვენტუსი“ თითქმის შინ თამაშობდა, ფავორიტად მაინც „აიაქსს“ თვლიდნენ, რომელიც მსოფლიოში უძლიერეს კლუბად მიაჩნდათ. მატჩს 67 ათასი მაყურებელი ესწრებოდა, მაგრამ მათ შორის 23 ათასი ჩამოსული „აიაქსელი“ იყო. ლუის ვან გაალი შეხვედრის წინ უჩიოდა რამდენიმე წამყვანი მოთამაშის ტრავმას, მარჩელო ლიპიმ თითქოს უძლიერესი შემადგენლობა გამოიყვანა, მაგრამ წინასწარ უპირატესობა მაინც მეტოქეს მიაკუთვნა: „მე არ ვიცი, ვინ ჩაითვლება ხვალ ევროპის უძლიერეს კლუბად, მაგრამ დღეს ეს „აიაქსი“ გახლავთ. იგი ამ მატჩის უდავო ფავორიტია. ამსტერდამელები თავიანთი ქვეყნის ჩემპიონები არიან, ჩვენ კი მხოლოდ ამ წოდების პრეტენდენტები.“

ის, რომ მეორე დღეს ევროპის უძლიერეს კლუბად „იუვენტუსი“ გახდა, სხვებთან ერთად რავანელის დიდი დამსახურება იყო. სწორედ მან გახსნა ანგარიში მე-13 წუთზე, შემდეგ „აიაქსმა“ ანგარიში კი გაათანაბრა (ეს ლიტმანენმა შეძლო), მაგრამ პენალტების სერიით მაინც დამარცხდა და თასს „იუვენტუსი“ დაეუფლა. ერთი დარტყმით ფაბრიციო რავანელი მსოფლიოს უძლიერესი თავდამსხმელების რიცხვში შევიდა. ყველას უნდა გაეწია მისთვის ანგარიში.

ამ გამარჯვებით „იუვენტუსმა“ მოიპოვა გაცილებით უფრო მეტი, რაც იტალიის ჩემპიონატში დაკარგა. შეიძლება უცნაურადაც კი ჟღერდეს, მაგრამ მეორე ადგილი „სერია A“-ში გუნდის მეპატრონე ანიელის დიდ მიღწევად არ ჩაუთვლეს. აი პირველი „მილანის“ გარდა სხვა რომ ყოფილიყო, მაშინ დიდად არ იდარდებდა, მაგრამ ჩემპიონი ხომ ტრადიციული მეტოქე გახდა.

რაც შეეხება რავანელის, მან ტრავმის გამო ამ ჩემპიონატში ბევრი მატჩი გამოტოვა და ვერც სნაიპერთა შორის მოხვდა. ჩემპიონთა თასის ფინალმა მაინც ძალიან გაამხნევა. იწყებოდა ევროპის ჩემპიონატი ინგლისში, რავანელი კი არიგო საკის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა. საინტერესოა, რომ იგივე საკი ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერებს, 24-24 გოლის ავტორებს იგორ პროტის („ბარი“) და ჯუზეპე სინიორის („ლაციო“) არავითარ ყურადღებას არ აქცევდა...

და აი, ოფიციალურად გამოცხადდა იმ ფეხბურთელების სია, რომლებიც ინგლისში უნდა გამგზავრებულიყვნენ. აქ სულ 4 თავდამსხმელი იყო: ძოლა, კიეზა, კაზირაგი და რავანელი. საინტერესოა, რომ ამ მომენტისათვის რავანელს სულ 9 მატჩი ჰქონდა ჩატარებული და 4 გოლი გატანილი ნაკრებში, მაგრამ მწვრთნელს, რომელმაც უარყო ისეთი პოპულარული თავდამსხმელების კანდიდატურები, როგორიც ვიალი და რ. ბაჯო იყვნენ, ბოლომდე მისი დიდი იმედი ჰქონდა.

ის, რაც ინგლისში მოხდა, რა თქმა უნდა, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებისათვის დიდი დარტყმა იყო. რუსეთის ნაკრებთან დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ სრულიად გაუგებარი ამბები მოხდა. არიგო საკიმ, რომელსაც იტალიელი ჟურნალისტები ათასგვარი უარყოფითი ეპითეტებით ამკობენ (ყველაზე რბილი გამოთქმა მათ შორის „შერეკილია“), მოულოდნელად, თითქმის სანახევროდ შეცვალა შემადგენლობა და იტალიელებმა ჩეხებთან მარცხი იწვნიეს. ამის შემდეგ მეოთხედფინალში გასასვლელად საჭირო იყო გერმანელების დამარცხება (!), რაც „სკუადრა აძურამ“ ვერ შეძლო და შერცხვენილმა დატოვა ჩემპიონატი.

ამ მარცხიანმა შეჯიბრებამ ფაქტობრივად შეიწირა საკის კარიერა, რავანელი კი დარჩა ნაკრებში. იწყებოდა მსოფლიოს მორიგი პირველობის შესარჩევი ასპარეზობა, რომელსაც „გააფთრებული მოზვერი“ შეხვდა, როგორც უკვე ინგლისის პრემიერ-ლიგის კლუბ „მიდლსბროს“ მოთამაშე.

ფაბრიციო რავანელი

1996-97 წლების ჩემპიონატის მანძილზე ინგლისური პრესა მეტად აქებდა რავანელის, რომელსაც გოლი გოლზე გაჰქონდა და ლანძღავდა „მიდლსბროს“ (გუნდს ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი წვრთნიდა), სადაც ყველაფერი აწეწილ-დაწეწილი იყო. „ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიტანს“. გუნდში ქაოსური მდგომარეობა იყო და ამასთან „მიდლსბროს“ ბედიც არ სწყალობდა. იყო ასეთი შემთხვევაც, თითქმის მთელი გუნდი გრიპით დაავადდა, მინდორზე გამოსაყვანი აღარავინ დარჩა და „მიდლსბრომ“ „ბლეკბერნთან“ თამაშის გადადება ითხოვა. თხოვნა უარყვეს და წაგება ჩაუთვალეს. ამ სამი ქულის დაკარგვამ საბედისწერო როლი შეასრულა და საბოლოოდ „მიდლსბროს“ პრემიერ-ლიგის დატოვება მოუხდა, თუმცა ამას ბევრის აზრით, არ იმსახურებდა. განა კურიოზი არ არის, რომ მეცხრამეტე ადგილზე (ოცი მონაწილიდან) გასულ გუნდს გატანილი გოლებით (51, აქედან 16 რავანელის ანგარიშზე იყო) მეექვსე მაჩვენებელი ჰქონდა, მაგრამ რა ვუყოთ 60 გაშვებულ ბურთს, ყველაზე მეტს მთელ ლიგაში!

როცა კლუბი ასეთ დიდ მარცხს განიცდის, მისი შემადგენლობა, როგორც წესი, საფუძვლიანად იცვლება ხოლმე. უნდა აღინიშნოს, რომ „მიდლსბროს“ პრეზიდენტ გიბსონს ეს არ გაუკეთებია. ადგილზე დარჩა მოთამაშე-მწვრთნელი ბრაიან რობსონი. არავის დაუთმეს რავანელი, თუმცა მისი შეძენა ბევრს სურდა, პირველ რიგში კი „ლივერპულს“. ამისათვის აღმართეს საიმედო „ფარი“ — დაე, რავანელის მსურველმა იმდენივე გადაგვიხადოს (7,5 მილიონი დოლარი), რამდენიც ჩვენ ერთი წლის წინ „იუვენტუსს“ მივეცით.

რაც შეეხება რავანელის მეორე ასპარეზს — მსოფლიო პირველობის შესარჩევ თამაშებს, აქ ყველაფერი კარგად იყო. 5 ოქტომბერს იტალიელებმა მოიგეს (3-1) კიშინიოვში მოლდაველებთან. ამასთან, ორი გოლი რავანელიმ გაიტანა, ერთი კი — კაზირაგიმ. 9 ოქტომბერს პერუჯაში იტალიელებმა ძნელი გამარჯვება მოიპოვეს საქართველოს ნაკრებთან, ერთადერთი გოლის ავტორი რავანელი იყო. გავიხსენოთ იტალიელების მთელი შემადგენლობაც: ტოლდო, პესოტო, მალდინი, ნესტა, ფერარა, კარბონი (ძოლა, 16), დი ლივიო (პანუჩი, 82), კონტე (დ. ბაჯო, 57), კაზირაგი, დი მატეო, რავანელი. ამ დროისათვის ნაკრებს კვლავ საკი წვრთნიდა. რაც შეეხება ცენტრალურ მატჩს ლონდონში ინგლისელებთან, იქ ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელ ჩეზარე მალდინის რავანელი გამოადგა, როგორც მთავარი კონსულტანტი — ბრიტანული ფეხბურთის მცოდნე და თვით მატჩშიც შეცვლაზე გამოვიდა. ეს ისეთი მნიშვნელობის შეხვედრა იყო, რომ შესაძლოა, შესარჩევ ჯგუფში ადგილების განაწილებისას გადამწყვეტი როლიც კი შეასრულოს.

დაიწყო ინგლისის 1997-98 წლების ჩემპიონატი, სადაც დასრულდება მსოფლიო პირველობის შესარჩევი თამაშები, მალე „გააფთრებული მოზვერი“ 29 წლისა გახდება.

გივი გამრეკელი

არც ისე იოლი მეტოქე...

დინამო (თბილისი) — მპკც (ბელარუსი)

(პირველი გვერდიდან)

მათ სიამოვნებით იწვევენ და ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელი მიხაილ ვერგიენკო, წარსულში კარგად ცნობილი ოსტატი, სისტემატურად ადევნებს მპკც-ს თვალყურს.

მპკც-ს მომძლავრებაში დიდი როლი შეასრულეს კლუბის პრეზიდენტმა ნიკოლაი იაშჩენკომ, გუნდის უფროსმა ლეონიდ გარაიმ, რომელიც წლების განმავლობაში მინსკის „დინამოში“ მუშაობდა და უფროსმა მწვრთნელმა ანატოლი იურევიჩმა. იურევიჩმა 1992 წელს ჩაიბარა გუნდი (რომელსაც მაშინ „პოლესიე“ ერქვა) და მეორე დივიზიონიდან პირველში გადაიყვანა. მსხვილმა კომერციულმა სტრუქტურებმაც მაშინ მიაქციეს კლუბს ყურადღება, როცა სახელი შეიცვალა და მთელი ქალაქის საზრუნავი გახდა. მპკც-ს ეხმარებოდა ყველა, ქალაქის მერ ივან ზამულკოდან დაწყებული. გაჩნდა ნამდვილი საფეხბურთო ბუმი. მატჩები უაღრესად საზეიმო ვითარებაში ტარდებოდა. სტადიონი ყოველთვის გადაჭედილი იყო, გულშემატკივრები ჩამოდიოდნენ მეზობელი ქალაქებიდან და სოფლებიდან, ბილეთის შოვა პრობლემად იქცა.

„თავხედი“ დებიუტანტი

1995 წელს, როცა მპკც ბელარუსის ჩემპიონატში ჩაება, მას სრულიადაც არ გამოუჩენია დებიუტანტისათვის დამახასიათებელი მოკრძალება. პირიქით, თავიდან ბოლომდე ლიდერთა ჯგუფში იყო. ფავორიტად, გასაგებია, მინსკის „დინამო“ ითვლებოდა, რომლის მაშინდელი მწვრთნელი ივან შჩეკინი შეშფოთებით ადევნებდა თვალს ამ „თავხედების“ თამაშს. ერთხელ ირონიულადაც კი თქვა: „ვერ წარმომიდგენია რა იქნებოდნენ ისინი, ალექსანდრ კულჩიი რომ არ ჰყავდეთ“ (ამ მეტად ნიჭიერ ფეხბურთელზე ჩვენ კვლავ ვილაპარაკებთ), თავიანთ სადებიუტო წელს მოზირელებმა მინსკის „დინამოს“ ჯერ შინ მოუგეს — 2-1, ხოლო შემდეგ მინსკშიც — 4-1! მართალია, მინსკის „დინამო“ მაინც გახდა ჩემპიონი, მაგრამ მპკც მას მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩა და მეტად საპატიო მეორე ადგილი დაიკავა.

ახლა მას უკვე ევროპულ ასპარეზზე გასვლის უფლება ჰქონდა. გუნდის დებიუტი შედგა უეფას თასზე, თუმცა მპკც-მ ვერ დაძლია პირველი ჯებირი — გზა ისლანდიის კლუბ „რეიკიავიკს“ დაუთმო.

ქვეყნის მომდევნო, 1996 წლის ჩემპიონატში, რომელშიც 16 გუნდი მონაწილეობდა, მოზირელებმა ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს. ძალიან მალე გაირკვა, რომ პირველი ადგილისათვის მხოლოდ მინსკის „დინამო“ და მპკც იბრძოლებდნენ. ბობრუისკის „ბელშინა“, მინსკის „დინამო-93“ და ვიტებსკის „ლოკომოტივი-96“ მხოლოდ მესამე ადგილზე აცხადებდნენ პრეტენზიას.

ამჟამად მოზირელებმა 30 თამაშიდან 76 ქულა მოაგროვეს (24 მოგება, 4 ფრე და 4 წაგება, ბურთები 64-17) და ერთი ქულით გაასწრეს მინსკის „დინამოს“, რომელსაც 23 მოგება, 6 ფრე და 1 წაგება ჰქონდა, ბურთების სხვაობით 83-20. ბელარუსის ჩემპიონობის მოპოვება და ჩემპიონთა თასზე მონაწილეობის უფლება ესოდენ ახალგაზრდა გუნდისათვის ხომ ნამდვილი ტრიუმფი იყო. ახლა მას დიდი ყურადღება მიაქციეს სხვა ქვეყნებიდან, პირველ ყოვლისა, რუსეთმა და უკრაინამ. თუმცა ფეხბურთში „ყურადღების მიქცევა“ ძალიან ხშირად უარყოფით მოვლენებთანაც არის დაკავშირებული. ეს მოზირელებმა ძალიან მალე, საკუთარ თავზეც იწვნიეს.

როცა მოთამაშეები მიმოიფანტნენ

წლევანდელ იანვარში მპკც-მ მოსკოვში თანამეგობრობის თასზე ითამაშა. დასაწყისში გუნდის ხელმძღვანელობას დიდი იმედები ჰქონდა. „D“ ჯგუფში რუსეთის კლუბების ნაკრები კონკურსგარეშე თამაშობდა, ითვლებოდა, რომ ბელარუსებს მეოთხედფინალში გასვლის არანაკლები შანსი ჰქონდათ, ვიდრე, ვთქვათ, „სკონტოს“ (რიგა) და „კოპეტდაღს“ (აშხაბადი).

სინამდვილეში კი, აი, რა მოხდა: მპკც-მ წააგო პირველივე მატჩი — 2-5 რუსეთის კლუბების ნაკრებთან (ორივე საპასუხო გოლი მაქსიმ რომანჩენკომ გაიტანა). ამას უკვე „სკონტოსთან“ დამარცხება მოჰყვა, სადაც კუშნირის გოლს რიგელებმა ორით უპასუხეს. მოხდა ისე, რომ ამ ორი წაგების მიუხედავად მპკც-ის კიდევ ჰქონდა მეოთხედფინალში გასვლის შესაძლებლობა, თუ ბოლო შეხვედრაში „კოპეტდაღს“ დაამარცხებდა. ეს ასე არ მოხდა. ბელარუსებს დიდი პრობლემები შეუქმნეს თურქმენეთის კლუბში მოთამაშე ქართველებმა კახა გოგოლაძემ და ბუბა ტყავაძემ. „კოპეტდაღმა“ რომ 3 უპასუხო გოლი გაიტანა, ორი ამ ჩვენი ყოფილი თბილისელების ანგარიშზე იყო.

მაშ ასე, სამი დამარცხება სამ მატჩში. უფრო უარესი ის იყო, რომ გუნდი დატოვეს მისმა წამყვანმა ფეხბურთელებმა, ზოგმა საით გასწია და ზოგმა — საით. ორი უძლიერესი ფეხბურთელი: ნახევარმცველი ალექსანდრ კულჩიი (რომლითაც გუნდი ამაყობდა) და ახალგაზრდა თავდამსხმელი მაქსიმ რომაშჩენკო მოსკოვის „დინამოში“ ჩაირიცხნენ.

მპკც-ს ბირთვი დაიშალა. საჭირო გახდა ფაქტობრივად ახალი კოლექტივის შექმნა. ეს რთული სამუშაო იკისრა ახალმა მწვრთნელმა, ახლო წარსულში კარგად ცნობილმა ცენტრალურმა მცველმა ალექსანდრ ბუბნოვმა. იგი წარმატებით თამაშობდა ჯერ მოსკოვის „დინამოში“, შემდეგ კი მოსკოვის „სპარტაკში“. ბუბნოვს, რომელმაც თამაშს თავი 80-იანი წლების მიწურულში დაანება, მწვრთნელობის მცირე გამოცდილება აქვს, უკანასკნელად იგი მუშაობდა მოსკოვის ყოველკვირეულ „ფუტბოლის“ მიმომხილველად.

ზოგი რამ ახალ მპკც-ზე

ჩამოვთვლით მოზირელთა ახლანდელ ფეხბურთელებს, რომელთა დიდ უმრავლესობას ქართველი გულშემატკივრები საერთოდ არ იცნობენ, ზოგიერთს კი... ძალიან კარგად. ესენია მეკარეები გაევი და სინიცინი, მცველები აპანასი, ვაცილოვი, ლუკაშევიჩი, სისოევი და პოლიაკოვი, შუა ხაზის მოთამაშეები: დენისიუკი, ტოროვოი (ეს ორი ძველი შემადგენლობიდან დარჩა), ლოვჩევი (გამოჩენილი ოსტატის 22 წლის სეხნია და მოგვარე მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ გადმოვიდა), ბანულუ, კუკარი, მალეევი, ოსიპენკო, ხოდიკანი და ვოსკანოვი. 27 წლის მალხაზ ვოსკანოვი წლების განმავლობაში თამაშობდა ქუთაისის „ტორპედოში“, როგორც გახსოვთ, მონაწილეობდა საქართველოს შარშანდელ ჩემპიონატშიც. თავდასხმაში გამოდიან კუშნირი, 22 წლის ლევან ბერიშვილი, რომელსაც ჩვენი გულშემატკივრები კარგად იცნობენ საქართველოს სხვადასხვა გუნდში გამოსვლებით და 21 წლის კახა ესაიაშვილი წყალტუბოს „სამგურალიდან“. მპკც-ს ახლანდელი შემადგენლობა, უნდა ვიფიქროთ, ადრინდელს ჩამოუვარდება. ახლა, როცა მიმდინარეობს მეორე წრე, მას აღარა აქვს ჩემპიონობის შენარჩუნების იმედი, 17 ტურის შემდეგ 33 ქულით მხოლოდ მეხუთე ადგილზეა და ლიდერს, ბობრუისკის „ბელშინას“ მთელი 13 ქულით ჩამორჩება. წარმოუდგენელია, ასეთი განსხვავების ლიკვიდაცია, თუმცა კარგი დღე არც მინსკის „დინამოს“ აყრია (38 ქულით მესამეა).

ჩემპიონთა თასზე მპკც, გასაგებია, მოხვდა, როგორც თავისი ქვეყნის შარშანდელი პირველობის გამარჯვებული. ჯერ მას მოლდავეთის „კონსტრუქტორული“ შეხვდა, რომელსაც სძლია (1-1, 3-2). მეორე საკვალიფიკაციო რაუნდში უკვე საბერძნეთის ჩემპიონთან, პირეოსის განთქმულ „ოლიმპიაკოსთან“ მოუხდა ბრძოლა. პირველ შეხვედრაში, პირეოსში პირველ ტაიმს შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ მეორე ნახევარში ბერძნებმა გატეხეს სტუმრების წინააღმდეგობა — 5-0. ამასთან, პირველი გოლი გაიტანა ნინიადისმა (ჩვენმა ყოფილმა ბათუმის დინამოელმა ანდრო კიურჯიევმა), მომდევნო ორი — იუგოსლავმა გოგიჩმა, რომელიც ადრე კვიპროსის ჩემპიონატის ორგზის სნაიპერი და გოჩა გოგრიჭიანის დიდი მეტოქე იყო, თითო — გეორგადოსმა და ალექსანდრისმა. საპასუხო შეხვედრა მოზირში ფრედ 2-2 დამთავრდა (ერთი გოლი ლევან ბერიშვილის ანგარიშზეა) და მპკც-მაც ჩვენი „დინამოსი“ არ იყოს, უეფას თასზე გადაინაცვლა.

უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალის შემადგენლობას რომ გადავავლოთ თვალი, ევროპული ფეხბურთის არაერთ კორიფეს შევხვდებით. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ! ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ თბილისის „დინამოს“ ამ ეტაპზე ღირსეული მეტოქე შეხვდა. აქედან ცხადია, რომ მომავალი მატჩები ძნელი იქნება.

გივი თორელი

კრიმინალური ქრონიკა

ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაც

ბავარიის დედაქალაქის, მიუნხენის საფეხბურთო კლუბის კაპიტანი მანფრედ შვაბლი კონფლიქტშია კლუბის ხელმძღვანელობასთან (პრეზიდენტი კარლ-ჰაინც ვილდმოზერი და მწვრთნელი ვერნერ ლორანთი), ჰოდა, სწორედ პრეზიდენტსა და მწვრთნელს ემუქრებიან სიკვდილით საიდუმლო ტერორისტული ორგანიზაციის „მანი შვაბლის შურისმაძიებლების“ წევრები. მეტიც — იმ საკვებ პროდუქტებს მოვუწამლავთ, რომლებითაც თქვენი მახლობელ-ნათესავები სარგებლობენო.

— ჩვენმა პირველმა წერილობითმა მუქარამ ნაყოფი არ გამოიღო და აწი გაჩვენებთ, მაგიდაზე მუშტებით ბრახუნი როგორ უნდაო, — ამბობენ უცნობები.

მუქარის შეტყობინება მიუნხენის პოლიციაში მივიდა და იქაც არ დაახანეს მიემართათ სერიოზული ზომებისთვის.

საინტერესოა, რომ უცნობმა პირებმა ვილდმოზერისა და ლორანთის გადადგომა გერმანიის ერთ-ერთი სატელევიზიო ქსელით მისულ ფაქსში მოითხოვეს.

პოლიტიკა და სპორტი

ვინ არის მაგის პარაიბაო

ბრაზილიის საფეხბურთო ეროვნულ ჩემპიონატზე „ვასკო და გამასა“ და „ამერიკის“ გუნდების თამაშში დროს მსაჯმა და სილდო მასედომ მოედნიდან გააძევა „ვასკო და გამას“ ბომბარდირი ედმუნდო. ეს მსაჯი ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთის შტატიდან სეარადან გახლავთ, რომლის მცხოვრებლებს ჩვეულებრივ დისკრიმინაციულად ეპყრობიან, უწიგნურ ლატაკებად და შავკანიან მუშებად მიიჩნევენ. ბრაზილიაში მათთვის შეურაცხმყოფელი ზედმეტი სახელიც არის შემოღებული — „პარაიბა“, ჰოდა, სწორედ ასე მიაძახა გაძევებულმა ედმუნდომ მსაჯ მასედოს.

რიო-დე-ჟანეიროელმა პარლამენტარმა „ვასკო და გამას“ მოთამაშეს ამგვარი „კომენტარისათვის“ რასიზმში დასდო ბრალი; რიოს შტატის ასამბლეის რასისტულ დანაშაულთა კომისიის პრეზიდენტმა კი განაცხადა: „მსგავსი საქციელი მიუღებელია. ედმუნდო ჯერ თავის გამონათქვამებს განმარტავს, შემდეგ კი უნდა გასამართლდეს“.

ისე, ბრაზილიაში რასიზმი ხუთწლიანი დატუსაღებით ისჯება, ოღონდ, ცნობილი არ არის, მოიხადა თუ არა ვინმემ მსგავსი სასჯელი...

მოამზადა
თამაზ ილმელმა

აშშ-ს ღია პირველობა ჩოგბურთში. „დიდი სლემის“ მეოთხე...

გადამწყვეტი დღეები „ფლეშინგ მიდოუზე“

ჯერჯერობით აშშ-ს ღია ჩემპიონატი ვერ ამართლებს მოლოდინს. მატჩების 80 პროცენტი უაღრესად მოსაწყენად მიმდინარეობს. ამაზე სისტემატურად ამახვილებს ყურადღებას ჯონ მაკინროი თავის ტელერეპორტაჟებში, ამაზევე ლაპარაკობს თვით პიტ სამპრასი ინტერვიუებში. ეს ასეა, მაგრამ ახლა, როცა „ფლეშინგ მედოუზე“ გადამწყვეტი დღეები დგება, ბრძოლა აუცილებლად უნდა გამწვავდეს.

ანდრე აგასი

მერვედფინალი შეჯიბრების ის სტადიაა, სადაც მთავარი ინტრიგა იწყება. რა თქმა უნდა, აქამდეც იყო სენსაციური შედეგები. ნაკლებად მოსალოდნელი იყო ინგლისელ ტიმ ჰენმანის გამარჯვება (6:3, 7:6, 4:6, 6:4) თომას მუსტერთან (ავსტრია), რომელსაც ერთ-ერთ საპრიზო ადგილს უწინასწარმეტყველებდნენ. ან ფრანგ სანდრინ ტესტიუს წარმატება „როლან გაროსზე“ გამარჯვებულ ხორვატ ივა მაიოლისთან – 6:4, 2:6, 6:1. გარკვეული აჟიოტაჟი გამოიწვია 16 წლის ანა კურნიკოვას შეხვედრამ ცნობილ რუმინელ ოსტატ ირინა სპირლიასთან, რომელსაც მსოფლიოში მეთორმეტე რეიტინგი აქვს. კურნიკოვას ახლა მთელი ამალა ახლავს: დედა ალა, ჰოკეისტი სერგეი ფედოროვი, გამოჩენილი მწვრთნელი ნიკ ბოლეტიერი, რომლის საჩოგბურთო აკადემიაშიც ანა მეცადინეობს... ამავე დროს რუს მიმომხილველებს ძალიან სწყინთ, რომ მრავალრიცხოვან ინტერვიუებში კურნიკოვა არც კი ახსენებს თავის ადრინდელ მასწავლებელს ლარისა პრეობრაჟენსკაიას, რომელმაც გოგონას დაოსტატებას მთელი 10 წელი შესწირა. ახლა კურნიკოვა არც ისე კარგად თამაშობს: უკვე გამოეთიშა შეჯიბრებას სპირლიასთან დამარცხების შემდეგ – 1:6, 6:3, 3:6. დიდ ყურადღებას იპყრობს ნორჩ შავკანიან ამერიკელ ჩოგბურთელ ვანესა ვილიამსის თამაში.

მაშ ასე, ფავორიტები წინ მიიწევენ. ამასთან, გულშემატკივრებს გარკვეული იმედები მისცა პოპულარულ ანდრე აგასის წარმატებამ. წელს იგი, ყველა შეჯიბრებაში, სადაც კი მონაწილეობდა, მარცხს მარცხზე განიცდიდა, ძალიან ხშირად პირველივე წრიდან ტოვებდა ასპარეზობებს. ახლა ანდრე აგასის საბრძოლო მზადყოფნა გაცილებით უკეთესია...

ნებიოლო ავარიაში მოჰყვა

ცნობილი სპორტული მოღვაწე, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი 74 წლის პრიმო ნებიოლოს ლიმუზინი პოლიციის მანქანას შეეჯახა. ორივე მანქანაში მსხდომნი დაშავდნენ – ნებიოლო მსუბუქად.

სკ თბილისის „დინამო“ და ვეტერანი ფეხბურთელები ღრმა გულისტკივილით და მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქართული ფეხბურთის დიდი ქომაგი, გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე

გურამ ფანჯიკიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სახელოვანი მწერალი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

გურამ ფანჯიკიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სპორტული კლუბი „ლოკომოტივი“ და რკინიგზელ სპორტსმენთა და სპორტის გულშემატკივართა მრავალრიცხოვანი არმია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ქართული სპორტის დიდი ქომაგის, ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის

გურამ ფანჯიკიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ქართული სპორტის გამორჩეული პროპაგანდისტისა და ქართველ ოლიმპიელთა დიდი მეგობრის

გურამ ფანჯიკიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს კალათბურთში საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს თამაზ ოქრუაშვილს **დედის** გარდაცვალების გამო.

ლუისი გულნაკლული ემშვიდობება სარბიელს

ლეგენდარული ამერიკელი მძლეოსანი, ცხრაგზის ოლიმპიური და მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონი, 36 წლის სიგრძეზე მხტომელი და სპრინტერი კარლ ლუისი 13 სექტემბერს ჰიუსტონში უკანასკნელად გამოვა სარბენ ბილიკზე, რომლის შემდეგ დაემშვიდობება მძლეოსნურ ტურნირებს. სპორტსმენი უკმაყოფილოა იმით, რომ იააფ-მა ათენის კონგრესზე, საკმაოდ ლიბერალური გადაწყვეტილება მიიღო, როცა დოპინგის ხმარებისათვის სპორტსმენთა დისკვალიფიკაცია ოთხიდან ორ წლამდე შეამცირა.

კარლ ლუისი

– და ეს მაშინ, როცა ობივატელს მძლეოსნობა ყველაზე ჭუჭყიან სპორტის სახეობად მიაჩნია, – აღნიშნა უკმაყოფილო ლუისმა.

ახლა მათ (დოპინგის მოყვარულები) შეუძლიათ „ჩახეთქონ“ რაც სურთ, ჩავარდები? – „სასჯელი“ ზედ მორიგი ოლიმპიადისათვის დაგიმთავრდება...

არ მომწონს გზა, რომელზეც მძლეოსნობამ გადაუხვია. კითხვაზე, რას აპირებს სპორტიდან წასვლის შემდეგ, ლუისმა უპასუხა, არავითარ როლს არ შეასრულებს ამერიკის მძლეოსნობის კავშირში: „იქ არ იბრძვიან დოპინგის საწინააღმდეგოდ, არ ზრუნავენ მძლეოსნების მომავალზე. ვიმუშავებ ახალგაზრდობასთან და არავითარ შემთხვევაში იააფის ან ამერიკის ფედერაციის ეგიდით. მზად ვარ წავიდე, მზად ვარ ახალი ეტაპისათვის“.

შოთა მამრიკიშვილი

სამოცდაათი წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ავტომრბოლი, სსრ კავშირის მრავალგზის პრიზიორი, ნაკრების წევრი, დამსახურებული მწვრთნელი შოთა მამრიკიშვილი.

იგი ავტოსპორტის პიონერთა ჯგუფს განეკუთვნება. ჯერ კიდევ 1957 წელს შექმნა და თავისი ხელით ააწყო ავტოსარბოლო მანქანა, ხვეწდა მის კონსტრუქციას, გამოდიოდა უმაღლესი დონის შეჯიბრებებში. გატაცებული იყო ფეხბურთითაც – ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს საკმაოდ ძლიერი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო. მწვრთნელად მუშაობისას, თავის მდიდარ გამოცდილებას ახალგაზრდებს უზიარებდა. აღზარდა მრავალი მაღალი კლასის სპორტსმენი, რომელთა ნაწილიც დღესაც მოქმედია, მათ შორის თავისი ვაჟი და ორი შვილიშვილი.

მეგობრებისა და აღზრდილების დიდი სიყვარულით სარგებლობდა ბატონი შოთა და მისი ნათელი ხსოვნა არ ამოიშლება მათ მეხსიერებიდან.

საქართველოს პატრიოტული
სპორტულ-ტექნიკური
საზოგადოება „დიდგორი“,
გაზეთ „ლელოს“ რედაქცია

საჭადრაკო ამოცანა

ა. სელივანკინი (რუსეთი)



შამათი 4 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა (3 სვლაში). მიზნისკენ მივყავართ შთამბეჭდავ შესავალს 1. ეh7!! ორი ეფექტ-ვარიანტებით: 1. ...მფ:h7 2. მe7 მფh8 3. ე:h6+ 1. ...მფ:h5 2. მe5 მფh4 3. ე:h6+. მესამე ვარიანტი ასევე ლამაზია - 1. ...მფ:f6 2.მd4 მფg6 3. ე5: h6+

„სპორტლოტოს“ შედეგები

31 აგვისტოს გამართა ლატარია „სპორტლოტო 5-36“-დან გათამაშების 35-ე ტირაჟი, დაშვებული იყო 5908 ვარიანტი.

მოგებახვედრილი ციფრები:

14, 29, 17, 26, 4.

5 ციფრი ვერავინ ამოიცნო. 4 ციფრის ამოცნობისათვის (4 ვარიანტი) – 55,40 ლარი. 3 ციფრისათვის (60 ვარიანტი) – 4.90 ლარი. მოგებები განაღდდება 3 სექტემბრიდან 3 ოქტომბრის ჩათვლით. მორიგი 36-ე ტირაჟისთვის, რომელიც გაიმართება 7 სექტემბერს, „ჯეკ-პოტი“ შეადგენს 3090 ლარს, ამასთან ერთად გამარჯვებულს ელოდება გერმანიაში მოგზაურობა.

„სპორტპროგნოზის“ მოყვარულებს შევახსენებთ მორიგი ტირაჟის პროგრამას:

მე-19 ტირაჟი (10 სექტემბერი) მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

1. საქართველო — იტალია
2. ბულგარეთი — რუსეთი
3. ჩილე — არგენტინა
4. პარაგვაი — ბოლივია

ბილეთების „ბ“ ნაწილების ჩაბარების ბოლო ვადაა: რეგიონებში – 4 სექტემბრი, თბილისში – 9 სექტემბრის 12 საათამდე.

გიწვევთ ტრადიციული სპორტული ლატარიების გათამაშებაში. წარმატება მხოლოდ თქვენს არჩევანზეა დამოკიდებული.

საქართველოს სპორტის
ეროვნული ფონდი


16


18


19


3


21

ქროსვორდი

თარაზულად: 6. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის, 9. ქართველი მოჭიდავე, ოლიმპიური ჩემპიონი, 11. ფეხბურთელი, თბილისის „დინამოსა“ და სსრკ ნაკრების მცველი, 12. წარსულში ცნობილი ქართველი მოჭიდავე, 15. წარსულში ცნობილი ქართველი ძიუდოისტი, 16. წარსულში ცნობილი ქართველი ხელბურთელი, მეკარე *(ფოტო)*, 17. ბრაზილიის საფეხბურთო კლუბი, 18. ქართველი ფეხბურთელი, ამჟამად მწვრთნელი *(ფოტო)*, 19. რუსი ჩოგბურთელი *(ფოტო)*, 22. იტალიელი ფეხბურთელი, 1968 წლის ევროპის ჩემპიონი, 23. 80-იანი წლების ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 24. გერმანიის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მეკარე, 26. ცნობილი ბრაზილიელი საფეხბურთო მწვრთნელი, 29. საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი, 30. შვედი მოჭადრაკე ქალი, 32. ქართველი ჩოგბურთელი ქალი, 33. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 34. რუსი ფეხბურთელი, 1956 წლის ოლიმპიური ჩემპიონი, 37. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 38. წარსულში გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 40. რუსი დიდოსტატი, 43. „მილანის“ და იტალიის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, 45. ხორვატი ჩოგბურთელი, 46. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჭადრაკში ვაჟთა შორის, 47. საქართველოს ნაკრების კალათბურთელი, 51. „მილანის“ ლიბერიელი ფეხბურთელი, 53. ჰოლანდიის საფეხბურთო კლუბი, 54. „მიდლსბროს“ იტალიელი ფეხბურთელი, 55. ლეგენდარული ამერიკელი მოკრივე, 56. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 57. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 58. თბილისის „ბურევესტნიკის“ ყოფილი ხელბურთელი.



შვეულად: 1. წარსულში ცნობილი ქართველი მძლეოსანი, 2. ჰოლანდიელი დიდოსტატი, 3. ქართველი ფეხბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი *(ფოტო)*, 4. ცნობილი კამერუნელი ფეხბურთელი, 5. წარსულში ცნობილი რუსი ჩოგბურთელი ქალი, 6. ამერიკელი ჩოგბურთელი ვაჟი, 7. გერმანიის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, 8. ქართველი მოჭიდავე, ოლიმპიური ჩემპიონი, 9. თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი, მეკარე, 10. ბულგარეთის საფეხბურთო ნაკრების მცველი, 13. „რეალისა“ და გერმანიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, 14. ესპანეთის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მეკარე, 18. გამოჩენილი ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი, 19. ფეხბურთელი, თბილისის „დინამოს“ ყოფილი ნახევარმცველი, 20. ცნობილი ნორვეგიელი ფეხბურთელი, 21. ქართველი ხუთჭიდელი *(ფოტო)*, 25. პსჟ-ს ბრაზილიელი ფეხბურთლი, 27. ცნობილი არგენტინელი საფეხბურთო მწვრთნელი, 28. სპორტული გასართობი თამაში, 31. ფრანგი ჩოგბურთელი ვაჟი, 35. ურუგვაელი ფეხბურთელი, 1930 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 36. ცნობილი რუსი ფეხბურთელი და მწვრთნელი, 39. „დერბი ქაუნთის“ იტალიელი ფეხბურთელი, 40. გამოჩენილი ამერიკელი მოკრივე, 41. ფეხბურთელი, თბილისის „დინამოს“ ყოფილი ნახევარმცველი, 42. საქართველოს ნაკრების კალათბურთელი, 44. ბრაზილიელი ფეხბურთელი, 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონი, 47. ლეგენდარული ფინელი მძლეოსანი, 48. საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მცველი, 49. „ინტერის“ ყოფილი ფეხბურთელი, 50. „რეალის“ ყოფილი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 51. „ჩელსის“ იტალიელი ფეხბურთელი, 52. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი, 56. ლეგენდარული კანადელი ჰოკეისტი.

შეადგინა ბიძინა წირქვაძემ (თბილისი)

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ჰრუბეში, 8. კიპტანუი, 9. დონადონი, 11. იმელი, 12. „სკონტო“, 13. ბიკილა, 18. შირეა, 20. ჰესლერი, 21. ჰატცი, 22. ზარაგა, 23. ანანდი, 27. ირანი, 28. ამარალი, 29. იარნი, 32. სტელია, 33. მენოტი, 34. განცი, 36. ტინკლერი, 37. ბრატბაკი, 38. გაბელია.

შვეულად: 2. რაული, 3. შიონი, 4. ლინეკერი, 5. ფაკეტი, 6. „ბასტია“, 7. ანჩელოტი, 10. ნეველი, 14. აშვეთია, 15. ბერგომი, 16. კრანკლი, 17. ნიგერია, 19. აგასი, 21. ჰოდლი, 24. კარტოზია, 25. ირვინი, 26. ტრეტიაკი, 30. ქინოლა, 31. ბებეტო, 34. „გორდა“, 35. იორკი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდამონიძე